კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მარიამი ბიწაძე

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ალექსანდრე იოსელიანი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2018

ანოტაცია

ნაშრომში მიმოხილულია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ცნება და მნიშვნელობა, ძირითადი ასპექტები, შედარებითი ანალიზი და აგრეთვე მათი მდგომარეობა როგორც კონტინენტურ, ისე საერთო სამართლის ქვეყნებსა და საქართველოში. განხილულია შესრულების შეუძლებლობის სახეები კერძოდ: შესრულების ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობა, შესრულების ხანგრძლივი და დროებითი შეუძლებლობა, შესრულების სრული და ნაწილობრივი შეუძლებლობა, შესრულების ბუნებრივი და იურიდიული შეუძლებლობა, შესრულების საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა, შესრულების ეკონომიკური და ეთნიკრი შეუძლებლობა.

მოცემულია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევში, რა დროს ხდება კონტრაჰენტთა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება და რა დროს ხდება მათვის მიყენეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება.ნაშრომი მოიცავს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წარმოშობის და განთვითარების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას და თუ, რა ადგილი უკავია მას სამოქალაქო სამართლის სისტემაში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპზე, რომელიც წარმოადგენს მთელი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილური ბრუნვის პრინციპს.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პრობლემები და ამ საკითახთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნება, საქართველოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო პირაგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, რომელიც უფრო უკეთ წარმოაჩენს აღნიშნულ პრობლემას.

Annotation

Mariam Bitsadze

Impossible to perform an obligation and release from contractual responsibility

The Article reviews the notion of impossibility to prform an obligation, basic aspects, comparative analysis and also their condition in both continental and common law states and in Georgia. Here is considered all forms of impossibility of the performance: Objective and subjective impossibility of performance, long and temporary impossibility of performance, complete and partial impossibility of performance, natural and legal impossibility of performance, intial and further impossibility of performance, economic and ethnicity impossibility of performance.

The article is presented when imopossible to performance an obligation, at what time the contactor`s exempted from contractual responsibility and at what time they are obliged to reimburse the damage. The work includes a brief historical overview of the origin and development of the impossibility of performance an obligation. Also attention is focused on one of the main principles of civil law, which is the principle of stable rotation of civil legal relations. In court practice often creating problems about release from liability, when is impossible to performance an obligation and on this issue will be introduced a decision of the Court of Appeal of Georgia, which will better illustrate this problem.

სარჩევი

შესავალი.....5

თავი I. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ზოგადი თავისებურებები

§1.1 შესრულების შეუძლებლობის ცნება და მნიშვნელობა 8

§ 1.2 ვალდებულების შესრულების ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობა 12

§ 1.3 ვალდებულების შესრულების ხანგრძლივი, დროებითი, ბუნებრივი და იურიდიული შეუძლებლობა 16

§1.4 ვალდებულების შესრულების სრული ,ნაწილობრივი, საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა 20

§ 1.5 ვალდებულების შესრულების ეკონომიური და ეთნიკური შეუძლებლობა..... 23

თავი II ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

§ 2.1 შესრულების შეუძლებლობა ომისა და საომარი მდგომარეობის გამო 27

§2.2 ვალდებულების შესრულების „დაუშვებლობა“ ვიწრო გაგებით 30

თავი III.ვალდებულების შესრულების შემდგომი წინააღმდეგობები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

§3.1 შესრულების საწყისი შეუძლებლობა და ზიანის ანაზღაურება შესრულების საწყისი შეუძლებლობის დროს 31

§3.2 შესრულების შემდგომი შეუძლებლობა..... 33

§3.3 შესრულების საწყისი დროებითი და საწყსი ნაწილობრივი შეუძლებლობა ... 35

§3.4 შესრულების საწყისი იურიდიული და შემდგომი დროებითი შეუძლებლობა 39

§3.5 ხელშეკრულების შესრულების საწყისი შეუძლებელი პირობები და პირობითი გარიგებების პრობლემა 43

თავი IV ბრალის ფორმების მნიშვნელობა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის დაფუძნებისათვის..... 47

§ 4.1 განზრახვა 47

§4.2 გაუფრთხილებლობა და მისი ფორმები..... 49

§ 4.3 პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუძლეველი ძალის გამო 50

თავი.V ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის დროს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საკითხები

§5.1 სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ საფრანგეთის და გერმანიის სამართლებრივი ნორმების საფუძველზე 56

§5.2 პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეცვლილი გარემოებების დროს.... 58

§5.3 გვაროვნული ნივთებთან დაკავშირებული ვალდებულების პრობლემა..... 61

თავი .VI სასამართლო პრაქტიკა..... 63

დასკვნა..... 67

გამოყენებული ლიტერატურა 69

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საინტერესო სამართლებრივი ინსტიტუტის შედარებით სამართლებრივ კლევას. მასში დეტალურად არის გაანალიზებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის და სახელშეკრულობო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები ქართული და უცხოური სამართლის მაგალითზე. ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საშუალება არის ხელშეკრულება. სწორედ ხელშეკრულებაში ჩანს ყველაზე ნათლად კერძო სამართლის ბუნება. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეენი თვითონვე აწესრიგებენ ურთიერთობებს ერთმანეთში, ისინი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, კისრულობენ ვალდებულებას შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება. შესრულება ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის ფუნდამენტური ელემენტია, რომელსაც ემსახურება მხარეთა ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების განხორციელება. ვალდებულების შესრულების ფუძემდებლურ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო კოდექსში შემდეგი სიტყვებით იწყება: ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ მოქმედებაში („მოქმედების შესრულება“),ისე უმოქმედებაშიც („მოქმედებისაგან თავის შეკავება“).

ვალდებულება უნდა შესრულდეს - Pacta Sunt Servanta - სწორედ, ამ პრინციპს ემყარება სამოქალქო ბრუნვის სტაბილურობა. შესრულება უნდა მოხდეს იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელია და დამოუკიდებელია იმ სიძნელეებისაგან, რომლებიც შეიძლება წარმოეშვას შემსრულებელ მხარეს.[1] (ზ. ძლიერიშვილი 2006); ხელშეკრულება მხარეთა მიერ სამართლებრივი ურთირთობის დაგეგმვის ინსტრუმენტია. მისი საშუალებით პარტნიორები უზრუნველყოფენ საკუთარ ინტერესებს და ახორციელებენ სამეურნეო თუ სოციალურ მიზნებს. თუმცა შეიძლება წარმოიშვას ისეთი გარემოებები, რომელთა საფუძველზე ვალდებულების შესრულება შეიძლება შეუძლებელი იყოს. აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ ვალდებულების შემდგომ ბედ-

[1] ძლიერიშვილი.ზ., ვალდებულების შესრულება, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი 2006წ., 12 გვ.

იღბალზე. წინასწარ შეფასებული სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება ისე საფუძვლიანად შეიცვალოს, რომ მხარეებმა ვერ შეძლონ ამ ცვლილების აღკვეთა. ვალდებულების შესრულება შეიძლება შეუძლებელი იყოს როგორც ხელშეკრულების დადების წინ,ისე მისი დადების შემდეგაც. შესრულების ხელისშემშლელი გარემოება შეიძლება წარმოიშვას როგორც კრედიტორის,ასევე მოვალის ან არც ერთი მხარის ანდა ორივე მხარის ბრალით. შეუძლებელი შეიძლება იყოს მთლიანი ვალდებულების ან მისი რომელიმე ნაწილის შესრულება. ვალდებულების შესრულება შეიძლება დააბრკოლოს სოციალურმა, ეთნიკურმა ან სხვა სახის გარემოებებმა, ფაქტობრივმა, იურიდიულმა მიზეზმა ან ბუნებრივი მოვლენების ზემოქმედებამ.

კვლევის მიზანი და მეთოდი: კლევის მიზანია, იმის გამოკვლევა, რომელი გარეომებები იწვევს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. ასევე, შესრულების შეუძლებლობის ბუნების, მისი სხვადასხვა კატეგორიების და ამასთან დაკავშირებით, კონტრაჰენტთა პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების ზოგადი საფუძვლების დადგენა. კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, შედარებით- სამართლებრივი და სხვა მეთოდები.

ნაშრომში შესრულების შეუძლებლობის საერთო არსის დასადგენად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებთან ერთად გამოკვლეულია კონტინენტური ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით, გერმანიის და საფრანგეთის სამოქალაქო კანომდებლობა და ზოგადად, საერთო სამართლის ქვეყნების გამოცდილება მოცემულ საკითხზე.

თემის შესწავლის მდგომარეობა: ვალდების შესრულების შეუძლებლობის თემას 1997 წელს რამდენი სტატია მიუღძღვნა ბესიკ შაკიაშვილმა. მან აღნიშნული საკითხი გამოიკვლია როგორც ქართული, ასევე უცხოური სამართლის კვალობაზე. ბრალის პრობლემა ქართულ ცივილისტებში პირველად დეტალურად გამოიკვლია პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ, მან საბჭოთან სამართალში ბრალეულობის პრინციპის განდევნის წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი ბრალეულობას უცილობელ ელემენტად მიიჩნევდა სოციალისტური ეკონომიკის პირობებშიცკი.

სიახლე: ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საკითხი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად და

საფუძვლიანად გამოკვლეული. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, რომ შესაწავლილ იქნეს საქართველოს სამოქალაქო სამართალში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების, კერძოდ, შესრულების შეუძლებლობის და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია კონპიუტერზე აკრეფილი ტექსტის 68 გვერდზე, რასაც თან ერთვისგამოყენებული ლიტერატურის სია 69-71 გვერდებზე. ნაშრომი სტრუქტურულად შედგება ანოტაციის, შესავლის, 6 თავისა, 18 ქვეთავისა და დასკვნისაგან.

თავი I. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ზოგადი თავისებურებები

§1.1 შესრულების შეუძლებლობის ცნება და მნიშვნელობა

ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისგან თავის შეკავებაშიც. თუ არ არსებობს ვალდებულება, მაშინ არც შესრულება იქნება. კეთილსინდისიერების პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინცია კერძო სამართალში, მათ შორის ვალდებულებით სამართალში. ზოგადი მითითება კეთილსინდისიერების პრინციპზე გაკეთებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8.3 მუხლში, ვალდებულებით სამართალში ამ პრინციპის არსებობაზე უთითებს სამოქალაქო კოდექსის 316.2- მუხლი, ხოლო გერმანიის სამოქალაქო კოდექსში § 241.1.[2]

სსკ-ის მუხლი 8(3)

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

სსკ-ის მუხლი 361(2)

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

გ.ს.კ § 241.1

ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. ვალდებულების შესრულება შეიძლება, ასევე, გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.[3]

აქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361- ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრიცნიპი, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპი. ამ დებულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების განუყოფელი ნაწილია სუბიექტის კეთილსინდისიერად მოწქმედება.

---

[2] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ.,ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ., 267 გვ.

[3] კროპჰოლერი ი. ,გერმანის სამოქლაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014წ., 109 გვ.

კეთილსინდისიერების შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

a) სამართლის ზოგადი პრინციპები.

b) ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

g) სამოქალაქო ბრუნვის წეს ჩვეულებები.

განვითარებული ქვეყნების სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი (ვალდებულების ჯეროვანი შესრულება) წარმოადგენს მთელი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილური ბრუნვის პრინციპს.[4] ხელშეკრულებები უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბრუნვის ჩვეულებების მხედველობაში მიღებით.

გერმანიის ს.კ-ის 157 მუხლი

ხელშეკრულებები განმარტებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით.

გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერი ქცევა მხარეთა უპირველესი ვალდებულებაა. ყველა უფლების და მოვალეობის განხორციელება კეთილსინდისიერების ძირითად წესს უნდა ეფუძნებოდეს. საუკუნეების განმავლობაში „კეთილსინდისიერების დათქმაზე“ დაყრდნობით კერძო სამართლის არაერთი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითრდა. სხვადასვა სამართლის სისტემაში კეთილსინდისიერების პრინციპისათვის მინიჭებული განსხვავებული ფუნქცია იმავდროულად ამ პრინციპის განსხვავებულ მნიშვნელობას განაპირობებს.[5]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242 პარაგრაფის მოქმედება სცილდება მის სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობას და ზეგავლენას ახდენს მთელი სამართლის სისტემაზე. ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპი მიიჩნევა გერმანული დოქტრინის საფუძვლად.[6]

ვალდებულის ჯეროვანი შესრულება გულისხმობს იმას, რომ მოვალე კრედიტორის წინაშე შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობას ზედმიწევნით.

მაგალითად

---

[4] თოდუა მ., ჰუუბ ვ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, თბილისი 2006წ., 12-13 გვ.

[5] იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი გამოკლევა) „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი 2007წ., გვ 10.

[6] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009წ., 84-85 გვ,

ცნობილმა მხატვარმა დადო ხელშეკრულება ხელოვნების სასახლესთან, რომ გამოფენისთვის მიაწოდებდა მის მიერ შესრულებულ 20 ნახატს. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება იქნება, როდესაც მოვალე შეასრულებს თავის პირობას და გამოფენის მოწყობამდე გადასცემს 20 ნახატს, ხელოვნების სასახლეს.

ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კი სახეზე გვექნება მაშინ, როდესაც მოვალე არ მოიქცევა კეთილსინდისიერად და არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს.

მაგალითად

„ა"-მ იყიდა „ბ"-სგან ავტომობილი, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა წაეყვანა. დაიწყო სეტყვა და დაზიანდა აღნიშნული ავტომობილი, თუმცა „ბ"-ს შეეძლო მიეღო ზომები აღნიშნული ზიანის აღსაკვეთად. მაგრამ, ვინიდან მანქანა მისი აღარ იყო, მან ეს არ გააკეთა. ამ შემთხვევაში მან დაარღვია კეთილსინდისიერების პრინციპი „ა"-ს მიმართ.

„ფორსმაჟორი" რომანული ცნებიდან-Vis major იღებს სათავეს, რომელიც ფრანგილი სიტყვაა და სიტყვა-სიტყვით დაუძლეველ/გადულახავ ძალას ნიშნავს. ის განმტკიცებულ იქნა პირველად საფრანგეთის 1804 წლის ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსში და ცნობილია თითქმის ყველა დიდი სამართლებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნების სისტემაში.[7]

ფორსმაჟორი ეს არის საგანგებო, გადაულახავი, ვითარება, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მონაწილეთა ნებასურვილსა და მოქმედებაზე, რომელთა წარმოშობითაც მონაწილეები აღმოჩნდებიან უუნარონი შეასრულონ მათ მიერ აღებული ვალდებულებები. ფორს-მაჟორულ ვითარებებს განეკუთვნება: ხანძრები, მიწისძვრები, წყალდიდობები, სხვა სტიქიური უბედურებები.

შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა კონტინენტური სამართლის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტიპიური სამართლებრივი მახასიათებელია, რომელიც რომანული სამართლიდან იღებს სათავეს. შესრულების შეუძლებლობის პრობლემა უმნიშვნელოვანესია ყველა განვითარებული სამართლის სისტემაში. შეუძლებლობის

[7] *Schwenzer I., Hachem P., Kee Ch.,* Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012., 654-655p.

დოქტრინა უმთავრესად გერმანიის სამოქალაქო სამართლის მეცნიერებამ განავითარა. ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გერმანიის პოზიტიურ სამართალში.[8]

შესრულების შეუძლებლობის დროს უმნიშვნელოვანესი საკითხია მოვალის პასუხისმგებლობის დადგენა. პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის საქართველოს და საერთოდ, კონტინენტური ევროპის სამართალში გამოიყენება ბრალის პრინციპი, ხოლო სახელშეკრულებო გარანტიის საფუძველზე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დიდი ბრიტანეთის სამართალს ახასიათებს. მოვალემ პასუხი უნდა აგოს აგრეთვე იმ პირების მოქმედებისათვის, რომელთა დახმარებითაც იგი ვალდებულებას ასრულებს. ფორსმაჟორი ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპის სახით, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძველი მოქმედებს მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისაგან დროებით ან მუდმივ, სრულ ან ნაწილობრივ გათავისუფლებას. ზიანი არანაზღაურდება თუკი შესრულების შეუძლებლობას ექნება ადგილი.[9] საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ცალეკე არ აწესრიგებს შესსრულების შეუძლებლობის პრობლემას. კოდექსის ერთ-ერთი პროექტი გერმანული სამართლის ანალოგიურად ითვალისწინებდა მის მოწესრიგებას, თუმცა გერმანული მოდელი ბოლომდე არ იქნა გაზიარებული ქართველი კანონმდებელის მიერ. შესრულების შეუძლებლობის შემთხვევები აისახა გარიგების, ბრალეულობის, შეცვლილი გარემოებებისა და დაუძლეველი ძალის მომწესრიგებელ ნორმებში. ყველა შემთხვევაში შესრულების შეუძლებლობა დაკავშირებულია ამა თუ იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან. შესრულების შეუძლებლობა ყველა შემთვევაში ათავისუფლებს მხარეს ვალდებულებისაგან (მისი რეალური შესრულებისგან). ცნობილია გამოთქმა: „პირს არ შეიძლება დაეკისროს შეუძლებლის შესრულება“. შესრულების შეუძლებლობა არ იწვევს ყოველთვის პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია შესრულების შეუძლებლობის ხასიათი. გერმანულ დოქტრინასა და

[8] ჩიტაშვილი ნ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ფორს-მაჟორისა და შესრულების გართულების ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები, სადისერტაციო ნაშრომი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი 2014 წელი., 33გვ.

[9] ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა) სამართლის ჟურნალი., თბილისი 2009 წ., № 1. 81 გვ.

სასამართლო პრაქტიკაში გამოყოფენ შესრულების შეუძლებლობის სხვადასხვა სახეებს,[10] კერძოდ: შესრულების ობიექტურ და სუბიექტურ შეუძლებლობას, შესრულების ხანგრძლივ და დროებით შეუძლებლობას, შესრულების სრულ და ნაწილობრივ შეუძლებლობას, შესრულების ბუნებრივ და იურიდიულ შეუძლებლობას, შესრულების საწყის და შემდგომ შეუძლებლობას, შესრულების ეკონომირ შეუძლებლობას და შესრულების ეთნიკურ შეუძლებლობას. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

§ 1.2 ვალდებულების შესრულების ობიექტური და სუბიექტური შეუძლებლობა

შესრულების ობიექტური შეუძლებლობა მაშინ გვაქვს, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია არა მარტო მოცემული მოვალისათვის, არამედ სხვა ნებისმიერი პირისთვისაც.

მაგალითად

თუკი ძლიერი წვიმის შედეგად, ზღვაზე იქნება შტორმი და გადმზიდველი ვერ გადაიტანს ტვირთს დანიშნულების ადგილამდე ანდა თუ, მოხდება ძლიერი მიწისძვრა, რასაც დამანგრეველი ცუნამი მოჰყვება და შესაბამისად ვერც მოვალე და ვერც ნებისმიერი სხვა პირი ვერ შეძლებს ვალდებულების შესრულებას, სახეზე გვექნება ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა.

შესრულების ობიექტური შეუძლებლობის დროს პირთა წრე გარკვეული სახით იზღუდება. თუ ვალდებულების შესრულება ბუნებრივად არ ხერხდება, მაშინ მისი განხორციელება არავის არ უნდა ხელეწიფებოდეს. როცა მოვალეს შეუძლია ვალდებულება მესამე პირის დახმარებით შეასრულოს, ამ უკანასკნელისათვის ყოველთვის უნდა არსებობდეს რეალური შესაძლებლობა ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული დროის მონაკვეთში და განსაზღვრულ ადგილას შეასრულოს ვალდებულება წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად. ამისათვის გადამწყვეტია არა მხოლოდ მოვალის უფლება, არამედ მისი მოვალეობაც, თავისი უუნარობის შემთხვევაში ხელშეკრულება მესამე პირის დახმარებით შეასრულოს. საწინააღმდეგო შემთხვევაში შესრულების

[10]ჭანტურია ლ. ზოიძე ბ. ნინიძე თ. შენგელია რ. ხეცურიანი ჯ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ., 376 გვ.

სუბიექტურ და ობიექტურ შეუძლებლობებს შორის ზღვარი წაიშლება, რადგან სუბიექტური ხელშემშლელი გარემოება ამავე დროს ობიექტურიც იქნება. ამ შემთხვევაში კრედიტორი ვერ მოსთხოვს მოვალეს მესამე პირის დახმარებით ვალდებულების შესრულებას. ზემოთაღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ფრანგმა მეცნიერებმა შემოიღეს ტერმინი „შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობა", რასაც როგორც საქართველოს, ასევე გერმანის სამოქალაქო სამართალი არ იცნობს.

ყველა ის შემთხვევა, რასაც შესრულების ობიექტური შეუძლებლობა არ მოიცავს, სუბიექტურ შეუძლებლობას უნდა მივაკუთვნოთ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსმა შემოიღო ცნებაა მოვალის „უუნარობა" (Unvermogen). თუ ვალდებულება მოვალის ფიზიკური, ფინანსური, ინტელექტუალური, ფსიქიკური, ემოციური და სხვა სახის უუნარობის გამო ვერ სრულდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი შესრულება ძალუძთ სხვა პირებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოვალემ უშუალოდ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა ობიექტურს უთანაბრდება.[11]

მაგალითი

ძლიერი მოწისძვრის შედეგად პირი მოხვდება ნანგრევების ქვეშ და დაიზიანებს ფეხს, რის შედეგადაც ვერ მოახერხებს ავტობუსის მართვას და სკოლის მოსწავლეების ექსკურსიაზე წაყვანას, ეს იქნება შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა, ვინაიდან იგივე ავტობუსი შეიძლება სხვამ მართოს და სკოლის მოსწავლეები წაიყვანოს ექსკურსიაზე.

ვალდებულების შესრულებას, როგორც წესი, ახდენს მოვალე. ცალკეულ შემთხვევებში „მესამე პირებსაც" აქვთ უფლება მოვალის მაგივრად იტვირთონ შესრულება.

სსკ. მუხლი 371 (1):

თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადა უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.

---

[11] შაკიაშვილი ბ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამომცემლობა", თბილისი 1998წ., 14-15გვ . დაწვრილებით იხილეთ:F.Kleineidam Unmoglichkeit und Unvermorgen; Jena 1990;S 17; Die Regelung des konfanglichen Unvermogens beim Kauf, Gottingen 1938, S.23ff.

როდესაც მოვალის მაგივრად სხვა პირი ასრულებს ვალდებულებას, ასეთი შესრულება სამ კონპონენტს მოიცავს: ჯერ-ერთი, შესრულების მოქმედებას უნდა ახორციელებდეს მესამე პირი და არა მოვალე; მეორე, ეს შესრულება უნდა ემსახურებოდეს მოვალის პასუხისმგებლობას, ე.ი სხვის ვალდებულებას; მესამე, შესრულების შედეგს უნდა წარმოადგენდეს კრედიტორის დაკმაყოფილება.[12] ასე მაგალითად, რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ნება დართეს გადაენდო იგი მესამე პირისთვის, ანდა იძულებულია ასე მოიქცეს შექმნილი გარემოების გამო (711-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება); შემნახველს მხოლოდ მიმბარებლის თანხმობით შეუძლია მესამე პირს გადასცეს ნივთი შესანახად (766-ე მუხლი); როცა ხელშეკრულებაში იქნება საგანგებოდ დათქმული,რომ მხოლოდ მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში, მოტივებს მნიშვნელობა არა აქვს, შესრულება პირადად მან უნდა განახორციელოს; შეიძლება ხელშეკრულებაში ასეთი დათქმა არც კი იყოს, მაგრამ თვით ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნება მეტყველებდეს იმაზე, რომ შესრულება მხლოდ მოვალემ უნდა მოახდინოს. ასეთ შემთხვევაში მოვალის პირადი თვისებებია მთავარი.[13]

მაგალითად

თუკი კონცერტი ცნობილმა მომღერალმა რიკი მარტინმა უნდა გამართოს, კრედიტორს შეუძლია, რომ სხვისგან შესრულება არ მიიღოს.

მაშასადამე, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა სუბიექტურია მხოლოდ მოცემული კონკრეტული მოვალისათვის, ხოლო შესრულების ობიექტური ხელშემშლელი დაბრკოლების დროს ვალდებულებას ვერ შეასრულებს ვერც მოვალე და ვერც ნებისმიერი მესამე პირი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში კრედიტორისათვის სულ ერთია, პირადად შეასრულებს მოვალე ვალდებულებას თუ რომელიმე მესამე პირის დახმარებით. ისეთი ვალდებულების დროს, რომლის საგანს არ წარმოადგენს მოვალის მკაცრად განსაზღვრული შესრულება, არ დგება შესრულების სუბიქტური შეუძლებლობის საკითხი. მეორე მხრივ, მითითებული კრიტერიუმი არ გამოდგება მოვალის მიერ

---

[12] ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბილის 1999წ., 40გვ.

[13] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ ,303 -304 გვ.

ვალდებულების მხოლოდ პირადი შესრულებისათვის, რადგან ამ შემთხვევაში შესრულების ყოველგავრი სუბიექტური შეუძლებლობა ამავე დროს ობიექტურიც იქნება.

რეფორმამდელი გსკ-ით დეტალურად განმტკიცებული შესრულების შეუძლებლობის კონცეფცია ეფუძნებოდა ფრიდრიჰ მომზენის დოქტრინას, როელიც განასხვავებდა საწყისი და შემდგომი, აბსოლუტური და ფარდობითი, ობიექტური და სუბიექტური, ბუნებრივი და სამართლებრივი, მუდმივი და დროებითი, სრული და ნაწილობრივი შესრულების შეუძლებლობის სახეებს. თითოეული კატეგორია შეიძლება წარმოიშვას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. რეფორმამდელი გსკ-ის 306-ე პარაგრაფის მოქმედება ვრცელდებოდა საწყის აბსოლუტურ შეუძლებლობაზე და აფუძნებდა გარიგების ბათილობას. ხოლო გსკ-ის 275-ე პარაგრაფი აწესრიგებდა ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებული აბსოლუტური შეუძლებლობის შემთხვევას.

რეფორმის საფუძველზე გაუქმდა საწყისი და სუბიექტური შეუძლებლობის მარეგულირებელი დებულებები და გსკ-ის 275-ე პარაგრაფს დაემატა შესრულების გართულების მომწესრიგებელი ნორმები.

რეფორმამდელი მოწესრიგებისაგან განსხვავებით, გსკ-ის ახალი 275-ე I პარაგრაფი აერთიანებს და ათანაბრებს სუბიექტურ და ობიექტურ შეუძლებლობას, რომელთა არსებობისას ითვალისწინებს მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. სუბიექტური შეუძლებლობა გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი შესრულების შეუძლებლობას მხოლოდ კონკრეტული მოვალისათვის. ობიექტური შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება ფიზიკურად განუხორციელებელია არა მხოლოდ ხელშეკრულების კონკრეტული მხარისათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის.

ამრიგად, გსკ-ის 275-ე I პარაგრაფის მოქმედება (შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება) ვრცელდება ობიექტური და სუბიექტური, საწისი და შემდგომი, ნაწილობრივი და სრული შესრულების შეუძლებლობის სახეებზე. აღნუშნული ნორმით

განმტკიცებული შესრულების შეუძლებლობის სახეები წარმოშობს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.[14]

§ 1.3 ვალდებულების შესრულების ხანგრძლივი, დროებითი, ბუნებრივი და იურიდიული შეუძლებლობა

ხელშემშლელმა გარემოებამ ხელშეკრულების შესრულება შეიძლება ისე ხანგრძლივად დააბრკოლოს, რომ ვალდებულება საერთოდ ვერ შესრულდეს. მაგალითად თუ დაიღუპა მთელი ბიოლოგიური გვარი; თუ გარდაიცვალა ის პირი, რომლის მიერ ვალდებულების პირადი შესრულება ან რომლის არსებობაც ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლი) ან თუ გავიდა ვალდებულების შესრულების ვადა. საერთო წესის მიხედვით მოვალის გარდაცვალება არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.

სსკ . მუხლი 1484 (1)

მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივების ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

სსკ-ის 453-ე მუხლის პირველი ნაწილი ერთ კონკრეტულ შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. კერძოდ, ეს ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე.

მაგალითად

თუ გარდაიცვალა პირი, რომელსაც ფილმის პროდიუსერთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ახალი სცენარი, რომელსაც ის წერდა, ამ პროდიუსერისთვის უნდა მიყიდდა. მაგრამ, თუ აღმოჩნდა, რომ სცენარისტი ისე გარდაიცვალა, რომ სცენარის დამთავრება ვერ მოასწრო. 453 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით შეუძლებელია, რომ ეს ვალდებულება მემკვიდრემ შეასრულოს.

[14] *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009., 87-88p.

თუ ვალდებულების შესრულება ტექნოლოგიურად დაბრკოლდება(მაგალითად მობილური ტელეფონების კონპანიამ ვერ შეძლო ახალი მოდელის მობილური ტელეფონის გამოშვება ერთ-რთი დანადგარის გაუმართაობის გამო), ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვალდებულება უახლოეს მომავალშიც ვერ შესრულდება. კონკრეტული ხელშეკრულების მხარეებმა შეიძლება ივარაუდონ, თუ როდის შეწყდება ხელშემშლელი გარემოება.(კონტრაჰენტის სიკვდილი,ვალდებულების შესრულების დროის გასვლა, ნივთის განადგურება) შეუქცევადია,ხელშემშლელი გარემოების ხანგრძლივობის კრიტერიუმი შეფარდებითია და დამოკიდებულია კონტრაჰენტის შეხედულებაზე, სამოქალაქო ბრუნვასა და წეს-ჩვეულებებზე.

რადგანაც უცნობია ვალდებულების შესრულების ხელშემშლელი გარემოების ხანგრძლივობა, მოვალემ შეიძლება არ ისურვოს დაბრკოლების შეწყვეტისას საჭირო შემთხვევაში ვალდებულების შესრულება. თუ მოვალემ დაბრკოლების შემდგომში არსებობა უნდა გაითვალისწინოს, მაშინ შესრულების შეუძლებლობის „ხანგრძლივობა“ წინასწარ შეიძლება განისაზღვროს. ამასთან, ზიანის მიყენების ალბათობა და ზიანის შემადგენლობა გაცილებით მეტი უნდა იყოს იმ ფასეულობებზე, რის დროსაც მოვალე მოქმედი სამართლის მიხედვით შეცვლილი გარემოებების საფუძველზე პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.

გარიგების ბუნებასა და ცალკეულ შემთხვევებზეა დამოკიდებული კრედიტორისათვის მიღების რომელი დაყოვნებაა დასაშვები, თუ გარიგება დაუყონებლივ არ უნდა შესრულდეს. აქედან გამომდინარე, საქართველოსა და კონტინენტური ევროპის სამოქალაქო სამართალში დისპოზიციურად არ განისაღვრება შესრულების მიღების დაყოვნების ვადა, მხოლოდ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი ადგენს კრედიტორისათვის შესრულების მიღების დაყოვნების ვადას, რომელიც შესრულების საგნისა და სახეების მიხედვით ერთ წლამდე მერყეობს.

ვალდებულების შესრულების დროებითი შეუძლებლობის ვადა ხელშეკრულების განმარტებით უნდა დადგინდეს. თუ დაბრკოლებას დროებითად მივიჩნევთ, მაშინ მისი სამართლებრივი შეფასება გართულდება, რადგან სამოქალაქო კანომდებლობის მიხედვით შესრულების დროებითი ხელისშემშლელი გარემოება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას და პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, თუ გარიგება დაუყონებლივ არ უნდა

შესრულდეს.თუ დროებითი ხელისშემშლელი გარემოება მოვალისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა, მაშინ ხელშეკრულება დროებით შეწყდება ან გარკვეული დროით გადაიწევს ვალდებულების შესრულების ვადა. თუმცა ამ უკანასკნელის დროს შესრულება შეიძლება ხანგრძლივათაც გახდეს შეუძლებელი.[15]

შესრულების შეუძლებლობის სახეებს ხელისშემშლელი გარემოების წარმოშობის მიზნებისა და შესრულების დაბრკოლების სირთულეთა მიხედვით ადგენენ. ხშირად გარეშე დაუძლეველი ძალა უშუალოდ და პირადაპირ გამორიცხავს ვალდებულების შესრულებას, ფიზიკურად აბრკოლებს ანდა აშკარად ემუქრება ვალდებულ მხარეს სახელშეკრულებო მოქმედების განხორციელების შემთხვევაში.

მაგალითად

როცა თვით ხელშეკრულების ობიექტი იღუპება ბუნების სტიქიური მოვლენების ზემოქმედებით (მოსავალი ნადგურდება სეტყვის შედეგად); „ა“ -მ, „ბ“-სთან დადო ხელშეკრულება ყურძნის მიწოდების თაობაზე ზამთარში, რომელიც მას სჭირდებოდა ღვინის გასაკეთებლად. ცხადია ხელშეკრულებით დადგენილი პირობა ,უნდა შესრულებულ იყო, შემოდგომაზე, მაგრამ ზაფხულში მოსულმა გვალვამ მთლიანად განადგურა მოსავალი. ამ შემთხვევაში ვალდებულება ვერ შესრულდება ხელშეკრულების საგნის განადგურების გამო.

მოვალეს იგი ჩამოერთვა იძულებით (ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მძღოლს ჩამოართვეს ავტომობილი); ვალდებულების შესრულების ადგილს მოვალე ფიზიკურად ვერ მიაღწევს ან ამ ადგილზე მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება (მაგალითად, წყალდიდობა აბრკოლებს ტვირთის ტრანსპორტირებას ან მოვალე მოცემულ ადგილზე ჩასვლისას დაავადდება ტიფით); ან მოვალეს აღარ გააჩნია ის ფიზიკური თვისებები და უნარი, რითაც მას ვალდებულება უნდა შეესრულებინა (პიანისტს განგრენის შედეგად მოჰკვეთეს ხელი).

ვალდებულება, რომელიც პირის სიკვდილის ან ნივთის განადგურების გამო ვერ სრულდება, ბუნებრივად (ფიზიკურად) შეუძლებელია ისევე, როგორც ყველა ის

[15] M.Kornfels, Leistungesstorungen, Wien 1943, S.84 მითიტებულია ნაშრომში: შაკიაშვილი.ბ, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება,სადოქტორო დისერტაცია, სადისერტაციო ნაშრომი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილსი1998., 17-18გვ.

ვალდებულება, რომელთა შესრულება უპირისპირდება ფიზიკურ, ქიმიურ ან მათემატიკურ კანონებს. ბუნებრივ შეუძლებლობას ფიზიკურ შეუძლებლობასაც უწოდებენ. აქ ის შემთხვევა გვაქვს, როცა შესრულება შეუძლებელი ხდება შესრულების საგნის განადგურების ანდა მოვალის სიკვდილის გამო. შესრულების ბუნებრივი შეუძლებლობა შეიძლება იყოს ხანგრძლივი ან დროებითი.[16]

მოვალე ვალდებულებას ხშირად ვერ ასრულებს სახელმწიფო ორგანოთა განკარგულების გამო, სახელმწიფო ორგანო შესაბამისი აქტის საფუძველზე ზუსტად იმ მოქმედებას კრძალავს,რაც ხელშეკრულების საგანს ემსახურება ანდა სხვაგვარად აბრკოლებს ვალდებულების შესრულებას. იურიდიული შეუძლებლობის შემთხვევაში ფაქტობრივად ვალდებულების შესრულება შესაძლებელია, მაგრამ უფლებრივი თვალსაზრისითაა ამაო.ასე, მაგალითად სახელმწიფო თავისი ადმინისტარციული აქტით კრძალავს იმ მოქმედების შესრულებას (მაგალითად, საქონლის ექსპორტს, იმპორტს), რაც ხელშეკრულების საგანს შეადგენს ან სხვაგვარად აბრკოლებს მის შესრულებას. შესრულების იურიდიული შეუძლებლობის ცნება უნდა გამოვიყენოთ მაშინაც, როცა ვალდებულების შესრულება ბრკოლდება უცხო სახელმწიფოს აკრძალვის საფუძველზე.[17]

ე.წ. იურიდიული შეუძლებლობა შეიძლება შესრულების ობიექტურ შეუძლებლობას გაუთანაბრდეს და მოვალემ პასუხი არ აგოს ვალდებულების შესრულების დაყოვნების ან მისი სრული შეუძლებლობის დროს.

მოქმედი კანომდებლობის დარღვევა არ წარმოადგენს შესრულების შეუძლებლობის საგანს. იურიდიული შეუძლებლობა მოქმედი კანომდებლობის მიერ ვალდებულების შესრულებაში უშუალო ჩარევასა და აღიარებას საჭიროებს, კანონმდებელი გარკვეული სახის ვალდებულების შესრულებას სანქციების ძალით კრძალავს (მაგალითად, თუ სახელმწიფო გარკვეული სახის ძვირფასი ლითონებისა და ქვების საზღვარგარეთ გატანისას სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში აძლევს მოცემულ პირს).

[16]ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001წ ., 378 გვ.

[17] Ш.И. буднан, Е.А. Павлодский, Невазможность исполнения обязательств в современом договорном праве –Проблемы современного гражданского права, М 2000., 230-233 стр.

§1.4 ვალდებულების შესრულების სრული ,ნაწილობრივი, საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა

ვალდებულების შესრულების სრული და ნაწილობრივი შეუძლებლობის გამიჯვნის პრობლემა იგივეა, რაც ხანგრძლივ და დროებით შეუძლებლობებს შორის. ამ დროს გადამწყვეტია ვალდებულების ნაწილობრივი შეუსრულებლობის მომენტი, როცა ხელშეკრულების საგანი ფიზიკურად ან ხელშეკრულების საფუძველზე განუყოფელია, რადგან შესრულების ნაწილობრივი შეუძლებლობა მთლიანობაში აბრკოლებს ვალდებულების შესრულებას.

მაგალითად

თუ მწერალმა დადო ხელშეკრულება გამომცემლობასთან რომანის რამდენიმე ეგზეპლიარად გამოცემაზე, გამომცემლობამ გამოსცა მხოლოდ ერთი ეგზემპლიარი და შემდგომ წყალდიდობის შედეგად დაინგრა.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შესრულების ნაწილობრივი შეუსრულებლობის დადგენისას ზოგიერთი ავტორი უარყოფს მომზენის მიერ განსაზღვრულ ვალდებულების შესრულების ზოგიერთ მოდალიტეტს, მაგალითად შესრულების დროს ადგილსა და ხარისხს, რადგან ზემოთ აღნიშნული რაოდენობრივი კრიტერიუმების გარდა მათ ნაწილობრივი შეუძლებლობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა

ვალდებულების შესრულების სრული შეუძლებლობაა მისაღებია თუ ნაწილობრივი, დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, შესრულება ფიზიკურად ან იურიდიულად გაყოფადია თუ არა, არამედ მნიშვნელოვანია ისიც, დაკარგა თუ არა ვალდებულების ნაწილობრივმა შესრულებამ კრედიტორისათვის ყოველგვარი ინტერესი. ეს ხელშეკრულების ობიექტური მიზნის დახმარებით უნდა დადგინდეს. შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგები ეხება მხოლოდ ვალდებულების ფაქტობრივად შეუსრულებელ ნაწილს, ხოლო დარჩენილი ნაწილის შესრულება მოვალეს ისევე მოეთხოვება.[18]

[18] შაკიაშვილი ბ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, სადისერტაციო ნაშრომი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი 1998წ., 19-20 გვ.

კრედიტორს ყველა ქვეყნის სამოქალაქო კანომდებლობით როდი ევალება მოვალის შესრულების ნაწილობრივი მიღება. კრედიტორის უარი ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების მიღებაზე მის მიერ ამ უფლების ბოროტად გამოყენების თვალსაზრისითაც უნდა შემოწმდეს.

ჩემი აზრით, როდესაც მოვალე მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას დადგენილ ვადაში შეასრულებს მხოლოდ ნაწილობრივ, მაგ შემთხვევაში კრედიტორი არ არის ვალდებული, რომ მიიღოს ნაწილობრივ შესრულებული ვალდებულება და დამატებითი ვადა მისცეს მოვალეს, დარჩენილი ვალდებულების შესრულების მიზნით. აღნიშნული საკითხი, ჩემი აზრით, უნდა გადაწყდეს, ყოველი კონკრეტული საქმის მაგალითზე. თუ მოვალემ ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება, ამ შემთხვევაში იმ საკითხს უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულების მიმართ აქვს თუ არა კრედიტორს ინტერსი.

მაგალითად

თუ „ა“-მ თავისი შვილისი დადადების დღისათვის საკონდიდტორში შეუკვეთა ნამცხვრები და ტორტი, 29 აპრილისათვის, მაგრამ, საკონდიტრომ მხოლოდ ნაწილობრივ შეარულა ვალდებულება და „ა“-ს ,29 აპრილათვის გადასცა მხოლოდ ნამცხვრები,ხოლო ტორტის გამოცხობისათვის მოითხოვა დამატებითი ვადა, აქ ცხადია, რომ „ა“-ს არ აქვს ინტერესი ვალდებულების დარჩენილი ნაწილის მოგვიანებით შესრულების მიმართ. განვიხილოთ მეორე შემთხვევა ,როდესაც კრედიტორს აქვს ინტერესი ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულების დარჩნილი ნაწილის მიღბის მიმართ. ამ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ,რომ კრედიტორმა „ბოროტად“ ისარგებლოს მდგომარეობით და უარი თქვას შესრულებული ვალდებულების მიღებაზე.

მაგალითად

„ა“-მ, მკერავს შეუკვეთა საქორწილო კაბა . ქორწილი იყო 28 აგვისტოს. მკერავთან დადებული შეთანხმებით ,კაბა მთლიანად მზად უნდა ყოფილიყო 15 აგვისტოს. თუმცა ,მკერავმა ვერ შეძლო მთლიანი სამუშაოს დადგენილ ვადაში შესრულება და 15 აგვისტოს კაბა იყო მზად მხოლოდ ნაწილობრივ. მკერავმა დამატებით მოითხოვა 3 დღის ვადა, კაბის საბოლო შეკერვისათვის. ამ შემთხვევაში კრედიტორს არ აქვს დაკარგული ინტერესი

ვალდებულების დარჩენილი ნაწილის მიღების მიმართ, რადგან კაბა მზად იქნება 18 აგვისტოს,ხოლო ქორწილი არის დაგეგმილი 28 აგვისტოს.

შეიძლება, რომ ვალდებულება ნაწილობრივ დარირღვეს, როგოცრ ხელშეკრულების ნაწილ-ნაწილ შესრულებისას, ისე ერთჯერადად შესრულებისას.

მაგალითად

ღვინის ქარხანა ვალდებული იყო სამი წლის მანძილზე, ყოველთვიურად, მიეწოდებინა რესტორნისთვის 100 ბოთლი ღვინო, მაგრამ 100-ის მაგივრად მიაწოდა 50. ეს ვალდებულების ნაწილობრივი დარღვევა იქნება.იგივე ვითარებას ექნება ადგილი,თუკი ვალდებულება მთლიანად უნდა შესრულებულიყო ერთ კონკრეტულ დღეს. თუ ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვება, შეიძლება კრედიტორმა საერთოდ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულების მიმართ დაკარგოს ინტერესი.

მაგალითად

თუკი ახალი წლის ღამეს, 31 დეკემბერს 12 საათზე, ქალაქ თბილის მერს საზეიმო ვითარებაში უნდა აენთო პარლამენტის წინ ამღმართული ნაძვის ხე,რომელიც უნდა ყოფილიიყო მორთული სხვადასხვა ლამაზი დეკორატიული სათამაშოებით. აღნიშნული სამუშაოს შესრულება, მერიამ დაავალა ერთ-ერთ სათამაშოების მაღაზიას. 31 დეკემბრისათვის მაღაზიას შესრულებული, ჰქონდა სამუშაოს ნაწილი.სამუშაოს შერულების ტემპიდან გამომდიანრე კი ჩანდა,რომ ნაძვის ხის მორთვა დასრულდებოდა 2 იანვრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოს ნაწილი შესრულებულია, კრედიტორისათვის დარჩენილი შესრულება აზრს კარგავს, ვინაიდან მას აზრი ექნებოდა მხოლოდ ახალი წლის ღამეს.

წარმოშობის მომენტის მიხედვით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის განსაზღვრა ისტორიულად საკამათო იყო. შესრულების საწყისსა და შემდგომ შეუძლებლობებს შორის საყოველთაოდ აღიარებული განსხვავება უარყო საბჭოთა სამოქალაქო სამართალმა, აგრეთვე ნაწილობრივ ინგლისის საერთო სამართალმა. ასეთი დაყოფა არსებითად დროის ფაქტორზეა დამოკიდებული. თუკი ვალდებულების შესრულება შეუძლებელია დადების მომენტიდანვე, ასეთი შეუძლებლობა საწყისი შეუძლებლობა იქნება. ხოლო თუკი შემდგომში გახდება ვალდებულების შესრულება შეუძლებელი, მაშინ შესრულების შემდგომი შეუძლებლობა გვექნება სახეზე.როგორც

ერთი,ისე მეორე, შეიძლება არსებობდეს, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური შეუძლებლობის სახით. თუკი გარიგების შესრულება თავიდანვე შეუძლებელია, ასეთი გარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს.[19]

სსკ-ის (91 მუხლი).

ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება,რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული, მთლიანდ ბათილია.

მაგალითად

„ა“-მ დადო „ბ“-სთან ნასყიდობის ხელშეკრულება პიკასოს ცნობილი ნახატის შესყიდვის თაობაზე.მაგრამ, ვალდებულების შესრულების დროს აღმოჩნდა ,რომ „ბ“-ს ბინა გაქურდეს და მას ნახატი მოპარეს. რადგანაც ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, ამიტომ სახეზე გვექნება, ვალდებულების შესრულების საწყისი შეუძლებლობა. ეს შეუძლებლობა არ დადგებოდა, ხელშეკრულების საგანი გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, რომ ყოფილიყო.

ვალდებულების შესრულება შეიძლება შეუძლებელი გახდეს შემდგომშიც, როცა ხელისშემშლელი გარემოება ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოიშობა. შესრულების შემდგომი შეუძლებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც მხარეთა ბრალეული მოქმედებით, ისე ბრალის გარეშე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არც პასუხისმგებლობა დადგება ამის გამო. ეს ის შემთხვევებია, როდესაც შესრულების შეუძლებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით,იგივე ფორს-მაჟორული გარემოებით.

§ 1.5 ვალდებულების შესრულების ეკონომიური და ეთნიკური შეუძლებლობა

შესრულების ეკონომიური შეუძლებლობა შეფარდებითი, წარმოებული ხასიათის შეუძლებლობაა, რომელიც მოვალის სამეურნეო-ეკონომიკურ სფეროში წარმოიშობა. ასეთი შეუძლებლობა მაშინაა, როდესაც ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი ხდება ისეთ გარემოებათა შედეგად (როგორიცაა ფულის ინფლაცია,პროდუქციის ფასების ზრდა და

[19] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ.,ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი წიგნი III, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ ,377-378

ა.შ),რომლის დროსაც სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს შესრულების სუბიექტს. მაგალითად, მოვალე საომარი მოქმედებების ან სხვა ისეთი საგანგებო მოვლენების გამო, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას არღვევს, ვერ იღებს კრედიტს ან საერთოდ კოტრდება. მას აღარ გააჩნია აუცილებელი ფულადი თანხები ხელშეკრულების შესასრულებლად.[20]

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ შესრულების ეკონომიური შეუძლებლობა შეიძლება იყოს აგრეთვე კომერციული კონიუნქტურის შეცვლაც. მაგალითად, რომელიმე საგანგებო მიზეზი (ფასების მომატება საქონელზე საომარი მოქმედებების დროს ან პირიქით, საქონლის ფასის დაკლება ხელისუფლების განკარგულებით, სამუშაო ძალის ნაკლებობის გამო და სხვა) მოვალემ არ შეიძლება ვალდებულება შეასრულოს იმ მატერიალური მსხვერპლის ფასად, რაც კონტრაჰენტებს ხელშეკრულების დადებისას არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ.

ერთი მხროვ, ყველაფერი, რაც ფაქტობრივად და ლოგიკურად შეუძლებელია, სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებლად არ ითვლება. მაგალითად მოვალის მიერ ხელშეკრულების შესრულებისათვის აუცილებელი თანხების არქონა, მართალია, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას განაპირობებს, მაგრამ ამ გარემოებას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. მეორე მხრივ, ყველაფერი რაც ლოგიკური თვალსაზრისით შესაძლებელია, სამართლებრივად შესაძლებლად არ ითვლება.[21] მაგალითად, ერთი ნავსადგურიდან მეორეში მგზავრთა გადაწყვანა ან ტვირთის გადატანა, თუ ზღვაში ნაღმები დაცურავს, ლოგიკურად შეუძლებელია და აბსტრაქტულად განხორციელებადი. შეიძლება არც ერთი ხომალდი არ დაეჯახოს ნაღმს, მაგრამ სამართლებრივად ასეთი რისკი შესრულების შეუძლებლობის ტოლფასია.

ამერიკის ზოგიერთი შტატის სასამართლო პრაქტიკაში აშშ-ის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის საფუძველზე აღიარებულია შესრულების შეუძლებლობისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი სახე შესრულების „კომერციული

[20] შაკიაშვილი ბ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, სადისერტაციო ნაშრომი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი 1998წ., 27-28 გვ.

[21] ჭანტურია ლ. ზოიძე ბ. ნინიძე თ. შენგელია რ. ხეცურიანი ჯ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი წიგნი III, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ., 379 გვ.

განუხორციელებადობა“ (commercial impracticability). იგი შესრულების ეკონომიური შეუძლებლობის ვერსიას წარმოადგენს და ითვალისწინებს არა მოვალის ეკონომიურ სიძნელეებს, არამედ მოვალის შესრულებისა და კრედიტორის შემხვედრი შესრულების პროპორციულ შეუსაბამობას,როცა ვალდებულების შესრულება საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს და ამ დროს მოვალე პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.[22]

თუ ვალდებულების შესრულება საფრთხეს უქმნის მოვალის სხეულს, ჯამრთელობას, სიცოცხლეს ან ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, ზნეობრივ ნორმებსა და საჯარო წესრიგს, მოვალე ვალდებულების შესრულებისაგან თავისუფლდება. მაგალითად, თუ ქართველი ბიზნესმენი უცხოელ პარტნიორთან დებს ხელშეკრულებას ბორდელის დაფუძნების თაობაზე, როცა ამ უკანასკნელმა არ იცის რომ საქართველოში ბორდელის აშენება არაზნეობრივია.

გსკ-ის 275-ეI პარაგრაფი აწესრიგებს შესრულების აბსოლიტურ შეუძლებლობას, II და III ნაწილები ეთმობა ფარდობით შეუძლებლობის რეგულირებას, რომელიც აერთიანებს პრაქტიკული შეუძლებლობისა (§275 II) და მორალური, ეთნიკური და პირადი შეუძლებლობის (§275III) სახეებს. პასუხისმგებლობისაგან გათავუსუფლება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოვალეს გაუმართლებელია მოეთხოვოს შესრულება ეთნიკური მიზეზის გათვალისწინებით. მაგალითად, თუ გამყიდველისათვის ცნობილია, რომ მყიდველი შესრულების საგანს გამოიყენებს ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის წარმოებისათვის ან ისეთი მიზნებისათვის, რომლისთვისაც საქონელი ექვემდებარება კონფისკაციას მყიდველი სახელმწიფოს მხრიდან. ფარდობითი შეუძლებლობა არ გამორიცხავს შესრულების შესაძლებლობას, ის მხოლოდ უფლებას ანიჭებს მოვალეს უარი თქვას შესრულებაზე. [23]

გსკ-ი 275-ე II პარაგრაფი განამტკიცებს შესრულების პრაქტიკულ შეუძლებლობას, რომელის დროსაც ვალდებულება მართალია, ობიექტურად განხორციელებადია, მაგრამ მისი შესრულება არაგონივრულია, რამდენადაც კრედიტორის შესრულების ინტერესთან შეფარდებით შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს უკავშირდება. ხელშეკრულების მბოჭავი ძალის განსაზღვრისას შესრულების ხარჟების სიდიდე და დაბრკოლების გადალახვის სირთულე

[22] G.Ripert,La regle morale dans les obligatios civiles,Paris 1955.,75p.

[23] კროპჰოლერი ი. ,გერმანის სამოქლაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014წ.,150-151გვ.

არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობით განიმარტოს. იგი შეიძლება შეფასებულ იქნეს მხოლოდ კრედიტორის შესრულების ინტერესის გათვალისწინებით. გ.ს.კ-ის 275-ე II პარაგრაფი გამოიყენება მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში: თუ სახეზეა შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯებისა და კრედიტორის ინტერესების აშკარა დისბალანსი, ვერცერთი გონიერი კრედიტორი ვერ დააყენებს შესრულების მოთხოვნას.

გ.ს.კ-ის 275-ე III პარაგრაფი განამტკიცებს შესრულების პირად შეუძლებლობას და ვრცელდება მომსახურებისა და შრომით ხელშეკრულებებზე, რომელებიც ვალდებულების პირად შესრულებას ითვალისწინებენ.[24] მაგალითად შესრულების ვალდებულებისაგან შეიძლება გათავისუფლდეს ოპერის მომღერალი, რომლის ბავშვი სიცოცხლისათვის საშიში ავანდმყოფობით არის დავადებული.

[24] *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 89 p.

თავი II ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

§ 2.1 შესრულების შეუძლებლობა ომისა და საომარი მდგომარეობის გამო

მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ძველთაგანვე ცნობილი გარემოებაა **დაუძლეველი ძალის მოქმედება.**იგი იწვევს ვალდებულების შესრულების ობიექტურ შეუძლებლობას.ქართული სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა დაუძლეველი ძალის განმარტებას ისევე, როგორც ეს ევროპის რიგი ქვეყნების კოდექსებშია. დაუძლეველი ძალის მნიშვნელობით გამოიყენება თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში „ფორს-მაჟორული გარემოებანი (დათქმები)". დაუძლეველი ძალის ბუნების გარშემო ცივილისტურ დოქტრინაში ძირითადად ორი მიმართულება გამოიკვეთა: პირველისათვის მთავარია ამ მოვლენის ობიექტური ხასიათი, მეორისათვის კი-სუბიექტური.პირველის მიხედვით, დაუძლეველ ძალას წარმოადგენს: სტიქიური უბედურებანი - მიწისძვრა, წყალდიდობა,ხანძარი და ასე შემდეგ; სოციალური მოვლენები - ომი,აჯანყება, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების აქტები,როგორიცაა იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა და ა.შ.მოკლედ,ისეთი მოვლენები,რომლის თავიდან აცდენა მოვალეს არ შეუძლია და რომელიც მისთვის გარეგანი ხასიათისაა; მეორე მიმართულება ამ მოვლენის შეფასებისას ამოდის იქიდან, თუ რამდენადაა შესაძლებელი მაქსიმალური ძალისხმევის შემთხვევაში მისი თავიდან აცილება. მიუხედავად ამისა,დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია რიგი კრიტერიუმები, რაც დაუძლეველი ძალისთვისაა დამახასიათებელი. **დაუძლეველია გარემოება, რომელიც შესრულებას შეუძლებელს ხდის და არა დამამძიმებელს. ეს ისეთი მოვლენაა რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია** .აღნიშნული მოვლენის გათვალისწინება შეუძლებილი უნდა იყოს არა მხოლოდ საზოგადოდ ჩვეულებრივი ადამიანისთვის, არამედ მოვალისთვის, რომელიც ითხოვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას მოცემული საფუძვლით.თუკი მოვალემ ხელშეკრულების დადებისას იცოდა,რომ დადგებოდა გარემოებანი, რომელიც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას გამოიწვევდა,ასეთ შემთხვევაში ის არ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობიაგან.ამის გამო ფრანგული სასამართლო პრაქტიკა რიგ შემთხვევებში თვით დამდგარ გარემოებასაც კი, არ თვლის ფორს-მაჟორულ

გარემოებად.შემდეგი თვისება აღნიშნული გარემოებისა არის ის,რომ იგი აუცდენელი გარემოებაა.მოვალეს არ ძალუძს თავისი მოქმედებით ხელი შეუშალოს მის დადგომას. როგორადაც არ უნდა გაისარჯოს მოვალე, იგი ხელს ვერ შეუშლის მიწისძვრას,ომს და ა.შ. **დაუძლეველი ძალის სხვა თვისებად მიჩნეულია ის,რომ იგი მოვალის ნებაზე დამოკიდებული კი არა,არამედ მისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებაა.** მთავარი მაინც ისაა,რომ **დაუძლეველ ძალად მიჩნეული მოვლენა მოვალისათვის წარმოადგენს გაუთვალისწინებელსა და გარდაუვალ გარემოებას.**[25]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ომისა და საომარი მოქმედებების ზეგავლენით წარმოშობილი შესრულების ხელისშემშლელი გარემოებები.ომი, რომელიც უდიდესი დაუძლეველი ძალის რთულ გამოვლინებას წარმოადგენს, თავისი მრავალფეროვანი შედეგებით აისახება მრავალი ხელშეკრულების კომერციულ კონიუნქტურაზე და ვალდებულების შესრულების ეკონომიკურ პირობებზე.ვალდებულების შესრულება რთულდება და სრულიად შეუსაბამო ხდება საქონლის ბრუნვის ნორმალურ პირობებთან მიმართებაში.ომის დროს იზრდება ფასები მასალებზე,სამუშაო ძალაზე; იცვლება საქონლის მიწოდების პირობები, რთულდება მასალების საზღვარგარეთიდან მიღება უცხოური ვალუტის არქონის ან გაცვლის მაღალი კურსის გამო და ა.შ. ეს გარემოებები არსებითად საფუძვლიანად ცვლიან ხელშეკრულების დადებისას კონტრაჰენტთა მიერ გათვალისწინებულ კომერციულ კონიუნქტურასა და შესაბამისად, სამართლებრივ ურთიერთობას. აქედან გამომდინარე, ვალდებულება მოვალემ შეიძლება მხოლოდ დიდი მატერიალური მსხვერპლისა და გაკოტრების ფასად შეასრულოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,იმდენად რთულდება სამეწარმეო ურთიერთობა, რომ ვალდებულების შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება.

ათავისუფლებს თუ არა შესრულების ასეთი შეუძლებლობა მოვალეს პასუხისმგებლობისაგან? ეს საკითხი სადავოა იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში.

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა მტკიცედ დგას ხელშეკრულების ძალის შენარჩუნების (ნამდვილობის) მკაცრ პრინციპზე. მთელ რიგ სასამართლო გადაწყვეტილებებში დადგენილია, რომ საომარი მოქმედებების შემთხვევაში გამყიდველი

[25]Я.А. Канторович, Основные идеи граждаского права, Харьков 1928., стр 110-111.

ან მიმწოდებელი ვალდებულებისაგან მხოლოდ მაშინ გათავისუფლდება, როდესაც საომარი მოქმედების გარემოება მათვის „აბსოლუტურია“ და აბრკოლებს ხელშეკრულების საგნის დამზადებას ან მიწოდებას. მოვალე პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება, თუ ეს გარემოებები მხოლოდ ართულებს შესრულებას ხელშეკრულების დადებისას დათქმულ პირობებთან შედარებით.

ინგლისელი იურისტის - ტროტერის წიგნში, რომელიც იკლევდა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე საომარი მოქმედებების ზემოქმედებას. აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება, საერთო წესის მიხედვით, არ კარგავს ძალას, როდესაც მისი შესრულება ომისა და საომარი მოქმედებების გამო ფაქტობრივად სრულიად შეუძლებელი ხდება. პასუხისმგებლობის ეს წესი ინგლისის საერთო სამართალში გამოიყენება მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების დროს და არა ex lege (კანონისმიერი) ვალდებულებების მიმართ. როცა კანონი მოვალისათვის თვითონ ადგენს ვალდებულებას, მაშინ ეს უკანასკნელი შეიძლება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდეს, თუ ვერ შეძლებს ვალდებულების შესრულებას ყოველგვარი ბრალის გარეშე. ინგლისელი იურისტები მიიჩნევენ, რომ კანონით არ შეიძლება ვინმეს შეუძლებლის შესრულება დაეკისროს, მაგრამ ნებაყოფლობით სახელშეკრულებო ვალდებულების მკისრებელს პასუხისმგებლობისაგან გაგათავისუფლებისათვის არა აქვს უფლება, დაამოწმოს, რომ შესრულება მისი ბრალის გარეშე გახდა შეუძლებელი. თუ კონტრჰენტებს მხედველობაში ჰქონდათ პასუხისმგებლობისაგან ასეთი გათავისუფლება, ხელშეკრულებაში.[26] ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებასთან მიმართებაში ინგლისის საერთო სამართალმა თანდათან დათმო უდავო პასუხისმგებლობის პრინციპი.

„ა“-ს და „ბ“-ს შორის დაიდო ხელშეკრულება ძოწის ძვირფასი ქვების მოწოდების თაობაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადის დადგომამდე, ქვეყანაში დაიწყო საომარი მოქმედებები და ხელისუფლებამ გამოსცა აქტი, რითაც აიკრძალა ძოწის ექსპორტი. ეს გარემოება მომწოდებლისთვის წარმოადგენს დაუძლეველ ძალას და მას ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

[26] М.Я Пергамент., Воина и непреодолимая сила, Спб 1914., стр 175.

§2.2 ვალდებულების შესრულების „დაუშვებლობა“ ვიწრო გაგებით

ვალდებულების შესრულებას დაუშვებლად მიიჩნევენ, როცა მოვალემ გაუთვალისწინებელი დანახარჯები უნდა გასწიოს ხელშეკრულების შესასრულებლად. თუ ეს დანახარჯები მოვალისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა სახელშეკრულებო გარანტიის არარსებობის შემთხვევაში მას მათი გაღება არ უნდა დაეკისროს. აქ ვხედავთ მოვალის შესრულებასა და კრედიტორის შემხვედრი შესრულების შეუსაბამობის პირველ ფორმას. მეორე ფორმა საპირისპირო შემთხვევაა, როცა კრედიტორის შემხვედრი შესრულება ზეპროპორციულად მცირდება. ავსტრიის სამოქალაქო სამართალი ამ შემთხვევებს შესრულების „მიუღწევლობად“ (Unerschwinglichkeit) აკვალიფიცირებს, სადაც მოვალე პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება კრედიტორის შემხვედრი შესრულების მიღებაზე უარის თქმის პირობით. ამ დროს ნომინალურად შეთანხმებული შესრულება როგორც ობიექტურად, ასევე სუბიექტურად ისე იცვლება, რომ ვალდებულების შესრულების „იდნტურობა“ ქრება. საქმე ახლა ფაქტობრივად სხვა შინაარსის შესრულებასთან გვაქვს. „გარიგების საფუძვლის მოსპობის“ (Wegfall der Geschftsgrundlage) გერმანული და „ხელშეკრულების ამაოების“(frustration of contract) ინგლისური თეორიებიც ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ირღვევა.[27]

რადგან ვალდებულების პირველად შესრულება ჯერ კიდევ შესაძლებელია, მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ყოველთვის სასამართლოს შეფასების საკითხია. მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ თვით ხელშეკრულებაში გაიმიჯნება შესრულების რისკი. მხოლოდ შესრულების დანახარჯების გაზრდა ვერ იქნება საკმარისი შესრულების უნარის ხარისხის განსაზღვრისათვის, ამისათვის საჭიროა მოვალის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებაც.

[27] შაკიაშვილი.ბ, ხელშეკრულების „ამაოების“ თეორია ინგლისისა და აშშ-ის სამართალში, ჟურნალი „სამართალი“, № 9-10 ,1997 წ, 68-70 გვ.

თავი III.ვალდებულების შესრულების შემდგომი წინააღმდეგობები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

§3.1 შესრულების საწყისი შეუძლებლობა და ზიანის ანაზღაურება

შესრულების საწყისი შეუძლებლობის დროს

ვალდებულების შესრულების საწყისი შეუძლებლობის შესახებ დებულებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გარიგებების შესახებ კარში გხვდება (54-59 მუხლები). შესრულების საწყისი შეუძლებლობა თითქმის იდენტურად განისაზღვრება გერმანიის, იტალიის სამოქალაქო კოდექსებში და დიდ ბრიტანეთის საერთო სამართლის ცალკეულ პრეცედენტებში. ხოლო, ნაპოლეონის კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით,ხელშეკრულებას ბათილად ხოლოდ ხელშეკრულების დადების წინ ნივთის განადგურების შემთხვევაში აღიარებს (საფრანგეთის სამოქალქო კოდექსი 1601-ე მუხლი).[28]

საბჭოთა სამოქალაქო სამართალი არ ცნობდა ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოების საწყის და შემდგომ შეუძლებლობებად.საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი,ისევე როგორც 1923 წლის კოდექსი არეგულირებდა შესრულების საწყის შეუძლებლობას, რომელიც ბათილად აცხადებდა იმ გარიგებას,რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა.კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე დგებოდა ორმხრივი რესტიტუცია-საწყისი შეუძლებელი შინაარსის მქონე (ბათილი) გარიგების თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის უნდა დაებრუნებინა ყველაფერი რაც ბათილი საფუძველზე მიიღო.

ბათილად ცხადდებოდა აგრეთვე სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო მიზნით დადებული გარიგება (49-ე მუხლი) და იმ შემთხვევაში, როცა ასეთი მიზანი ორივე კონტრაჰენტს ჰქონდა და სახელმწიფოს შემოსავალში ირიცხებოდა ყველაფერი, რაც მათ გარიგების საფუძველზე მიიღეს.[29]

საბჭოთა სამოქალაქო სამართალმა ბათილადვე აღიარა იურიდიული პირის მიერ დადებული ის გარიგება რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის წესდებით ან დებულებით

[28] French Civil Code,Translated by David W. Gruning, Professor of law, Loyola University, School of law, New Orleans, 2006., 1601-ე მუხლი.

[29] შაკიაშვილი.ბ,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, სადისერტაციო ნაშრომი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი1998წ., 39-40გვ,

გათვალისწინებულ მიზნებს. იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის ინსტიტუტის მიხედვით იურიდიულ პირს შეეძლო ხელშეკრულების დადება მხოლოდ ისეთი საქმიანობის განხორციელების თაობაზე, რაც პირდაპირ იყო აღნიშნული მის წესდებაში ან კანონში.[30]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსში შესრულების შეუძლებლობის ცნება გამოკვეთილად არ ფიგურირებს და არც საწყისი და შემდგომი შეუძლებლობებია განსაზღვრული.

სსკ-ის 54-ე მუხლი

ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საერთო წესრიგსა და ზნეობას.

ამ ზოგადი დებულების საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ ხელშეკრულების ბათილობის ყველა შედეგი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს ხელშეკრულების ნავარაუდევ „შეუძლებელ“ შინაარსს, როგორც შესრულების ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევას და შესრულების სუბიექტურ შეუძლებლობას არ შეიცავს.

საქართველოს, გერმანიისა და ავსტრიის სამოქალაქო კოდექსების საპირისპიროდ ნაპოლეონის კოდექსი შესრულების საწყისი შეუძლებლობის დროს ზოგადად არ აწესრიგებს ზიანის ანაზღაურების საკითხს. 1599-ე მუხლის ანალოგიით, რომლის მიხედვითაც სხვისი კუთვნილი ნივთის გაყიდვა გამყიდველის პასუხისმგებლობას იწვევს, თუ გამყიდველმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ ნივთი სხვისი კუთვნილებაა, გრანგული მოძღვრება აღიარებს cupla in contrahendo-ს. მოსამართლეს უფლება ეძლევა, გამონაკლისის სახით, საქმის განხილვისას ზიანის ანაზღაურება გამორიცხოს. 1599-ე მუხლის განმარტების მიხედვით, ბათილია მხოლოდ ნასყიდობა გამყიდველის მიერ საკუთრების უშუალოდ გადაცემის დროს (ტრანსლატური მოქმედება) რადგან საფრანგეთის სამოქალაქო სამართალი არ მიჰყვება სანივთო სამართლის ტრადიციულ პრინციპს. თუ ამის საპირისპიროდ მხოლოდ ვალდებულებითი გარიგება დაიდო საკუთრების შეძენაზე, მაშინ გამყიდველის არარსებული საკუთრება ხელს არ შეუშლის ხელშეკრულების ნამდვილობას.

[30]ჭანტურია ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში: ს. ჯორბენაძის საიუბილეო კრებული, თბილისი1994წ., 50გვ.

გვაროვნულ ნივთებთან დაკავშირებული ხელშეკრულების ნამდვილობას 1585-ე მუხლი აწესრიგებს. 1599-ე მუხლი ადგენს მოვალის ვალდებულებას იზრუნოს ხელშეკრულების ნამდვილობაზე ისე, რომ მას არც ობიექტი (Object) დააკლდეს და არც საფუძველი (cause).[31]

საფრანგეთის სამართალში მოვალეს შემთხვევითი გარემოებების დროს შესრულების რისკის გაწევა არ ეკისრება და გერმანიის კოდექსისაგან განსხვავებით აქ ზიანის ანაზღაურება ნეგატიურ ინტერესეზე არ არის შეზღუდული. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი სრულყოფილად ვერ განასხვავებს ვალდებულების შესრულების საწყისსა და შემდგომ შემდგომ შეუძლებლობებს მხარეთა ინტერესების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ობიექტის ან საფუძვლის არარსებობის გამო გარიგების ბათილობა იურიდიული შედეგია, მაგრამ ბევრ შემთხვევაში არსებითი არ არის შესრულების შეუძლებლობის წარმოშობის დროის მონაკვეთი. ზიანის ანაზღაურების პოზიტიური ინტერესის აღიარებიდან გამომდინარე, არ ჩანს, რომ ნაპოლეონის კოდექსი ბრალის სახელშეკრულებო ბრუნვას ეთანხმება, რადგანაც დელიქტურ სამართალში ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს, სულ ერთია, ნეგატიური წარმოშობისა იქნება თუ პოზიტიური წარმოშობისა.

§3.2 შესრულების შემდგომი შეუძლებლობა

შესრულების საწყისი შეუძლებლობისაგან განსხვავებით, შემდგომი შეუძლებლობის დროს არ წყდება კონტრაჰენტთა ყველა უფლება და მოვალეობა, არამედ წამოიჭრება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის მტკიცებისა და ზიანის ანაზღაურების საკითხები, რასაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (408-415-ე მუხლები) სრულყოფილად აწესრიგებს.

ხელშეკრულება ბათილია ex tune (ადრეული მომენტიდან) შესრულების საწყისი ობიექტური შეუძლებლობის გამო, მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ არ იცოდა და არც

[31] French Civil Code,Translated by David W. Grunlng, Professor of law, Loyola University, School of law New Orleans, 2006.,1585 და 1599 მუხლები.

შეიძლება სცოდნოდა შესრულების შეუძლებლობის შესახებ, რადგანაც ამ შემთხვევაში ბათილი ხელშეკრულების გამო ბრალის პრეზუმცია არ მოქმედებს.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა იმან უნდა დაამტკიცოს, ვინც აქედან სარგებელს მოელის და ეს უპირველესად ის არის, ვინც ხელშეკრულების ბათილობას ამტკიცებს, რადგან შესრულების მოვალეობის თავიდან აცილება სურს. ეს პირი შეიძლება კრედიტორიც იყოს, რადგან ოროვე კონტრაჰენტს გააჩნია ხელშეკრულების ბათილობის დამოწმების უფლება. ისევე როგორც საქართველოს სამართალშია, გერმანიის სამოქალაქო სამართალშიც პირმა, რომელმაც ხელშეკრულების დადების დროს იცოდა ან უნდა სცოდნოდა მისი შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მეორე მხარეს მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაუროს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზიანის ანაზღაურებას ასვე მხოლოდ ბრალის არსებობისას ადგენს (395-ე მუხლი).394-ე მუხლის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. შესრულების შეუძლებლობის შესახებ კონტრაჰენტის ცოდნასა და მის კეთილსინდისიერებას ბრალისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს,რომ კეთილსინდისიერი მოქმედება ყოველთვის არ არის გადამწყვეტი კრიტერიუმი ბრალის შერაცხვისათვის,რადგან მოვალემ პასუხი შეიძლება შემთხვევითობისთვისაც აგოს.[32]

რამდენიმე მაგალითი შესრულების საწყისი შეუძლებლობის პრობლემას უკეთ წარმოადგენს:

1. „ა“ მიყიდის „ბ“-ს კავკასიურ ნაგზს, რომელიც ხელშეკრულების დადების ადგილიდან მოშორებულ სოფელში იმყოფება,ხელშეკრულების დადების წინ ნაგაზი სახლიდან გარბის. „ა“-მარაფერი იცის თავიდან ამის შესახებ. იგი „ბ“-ს ატყობინებს ხელშეკრულების ბათილობის შესახებ. იგი „ბ“-ს ატყობინებს ხელშეკრულების ბათილობის შესახებ. რამდენი დღეში ნაგაზი უკან ბრუნდება.

ან მეორე ვატრიანტი-ნაგაზი ხელშეკრულების დადების შემდეგ გარბის სახლიდან და უკან აღარ ბრუნდება. აქ უკვე შესრულების შემდგომი შეუძლებლობაა და „ა“-მ „ბ“-ს ზიანი უნდა აუნაზღაუროს.

[32] ქოჩიაშვილი ქ., ბრალი როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა(შედარებით სამართლებრივი კვლევა.) სამართლის ჟურნალი, თბილისი2009., №1.,80გვ.

2. „ა“ მიჰყიდის „ბ“-ს მემკვიდრეობით მიღებულ XVIII საუკუნის ავეჯს, მაგარამ შეცდომის გამო შემდგომში აღმოჩნდება, რომ ავეჯი სულაც არ არის XVIII საუკუნეში დამზადებული. შეიძლება თუ არა ა შესრულების „საწყისი შეუძლებობის“ მტკიცებით პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდეს?

ჩემი აზრით, იმ შემთხვევაში უნდა გათავისუფლდეს „ა“ პასუხისმგებლობისაგან თუ მან არ იცოდა, რომ ავეჯი არ იყო XVIII -ში დამზადებული. თუ „ა“-მ გამიზნულად შეიყვანა შეცდომაში „ბ“-ე, მაშინ ის არ უნდა გათავისულდეს პასუხისმგებლობისაგან.

§3.3 შესრულების საწყისი დროებითი და საწყსი ნაწილობრივი შეუძლებლობა

შესაძლებელია, რომ ვალდებულების შესრულება დასაწყისში დროებით შეუძლებელი იყოს მაგრამ მისი შესრულების ვადის დადგომისას, შესაძლებელი იყოს მისი შესრულება. მაგალითად, თუ ღვინის ქარხანა ხელშეკრულებას დებს კერძო პირებთან ყურძნის მიწოდების შესახებ ზამთარში,ბუნებრივია, რომ

ხელშეკრულების საგანი მომავალ შემოდგომაზე მოწეული მოსავალი იქნება. თუ ვალდებულების შესრულება დასაწყისაში დროებით შეუძლებელია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულება საერთოდ არ არის შესაძლებელი.

შესრულების საწყისი შეუძლებლობის საკითხს ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი, რომლის თანახმად, გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება მისი ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა.

გსკ-ის § 139 ნაწილობრივი ბათილობა

თუ ბათილია გარიგების ნაწილი, და შეუძლებელია იმის დაშვება, რომ იგი დაიდებოდა ამ ბათილი ნაწილის გარეშეც, მაშინ მთლიანად გარიგებაც ბათილია.[33]

მაგალითად

[33] იან კროპჰოლერი,გერმანიის სამოქალაქო კოდექსი,სასწავლო კომენტარი,მე-13 გადამუშავებული გამოცემა,თბილის 2014წ, 66გვ.

თუ დაიდო ხელშეკრულება მსუბუქი ავტომანქანის გაყიდვაზე თავისი საცხოვრებელი მისაბმელით და ხელშეკრულების დადების დროს მისაბმელი ხანძრის შედეგად განადგურდა.

ხელშეკრულების მხლოდ ერთი ნაწილის შესრულების შეუძლებლობას შესაბამისი სამართლებრივი შედეგი მოსდევს. გარიგება მთლიანობაში შეიძლება იყოს ნამდვილი, მაგრამ მისი ესა თუ ის ნაწილი იყოს სამართლებრივად უვარგისი. ასეთ გარიგებებს სამოქალაქო სამართალი ნაწილობრივად ბათილი გარიგებების კატეგორიას მიაკუთვნებს. ვალდებულების შესრულების ნაწილობრივი შეუძლებლობის დროს ხელშეკრულება ყოველთვის არ არის ბათილი. თუ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება მისი ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს), მაშინ უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების იმ დარჩენილი ნაწილის ბედი, რომლის შესრულება ჯერ კიდევ შესაძლებელია. იგულისხმება,რომ ეს ნაწილი არ უნდა იყოს ისეთი, რომ მთელი გარიგების ბათილობა გამოიწვიოს.ესეც კონკრეტული ფაქტის საკითხია, თუ როგორი ხასიათისა ამ ნაწილის ბათილობა.

იმისათვის, რომ შეგვეძლოს გარიგების ნაწილის ბათილობაზე საუბარი, აუცილებლად უნდა არსებობდეს ერთიანი გარიგება, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს ამ ნაწილების გამოცალკევება და მათი განხილვა, ასევე იმის დადგენა რომელი ნაწილია ბათილი და შეუძლია თუ არა ამ ნაწილის ბათილობას გამოიწვიოს მთლიანი გარიგების ბათილობა. მაგალითად,როცა მომავალი პარტნიორები შპს-ის წესდებას ადგენენ და მას ხელს აწერენ, ისინი ამით დებენ გარიგებას, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. თუ წესდებაში ჩაიწერება,რომ შპს-ს პარტნიორს არა აქვს თავისი წილის გასხვისების უფლება ,ეს ფორმალურად იქნება გაროგების ერთი ნაწილი, მაგრამ ისეთი, რომელიც მთლიანი გარიგების ბათილობას არ გამოიწვევს, არამედ მხოლოდ ამ ნაწილის -კანონით დაუშვებელია პარტნიორისათვის წილის გასხვისების უფლების აკრძალვა.[34]

ნაწილობრივად ბათილი გარიგების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რამდენად არსებითია გარიგებითვის ის ნაწილი, რომელიც ბათილად იქნა მიჩნეული.

[34] ჭანტურია.ლ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2011წ., 389-390გვ.

გონივრულია თუ არა მის გამო, მთლიანად გარიგების აღიარება ბათილად. თუ გარიგება მხარეების მიერ უკვე განხორციელებულია და აღმოჩნდა,რომ მისი ერთი ნაწილი თურმე ბათილი ყოფილა, რამდენად მართებულია მთლიანი გარიგების ბათილად აღიარება ეს კონკრეტული გარიგებიდან გამომდინარე განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი ისევე, როგორც ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი და შვეიცარიის კანონი ვალდებულებათა შესახებ, აღიარებს ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილის ნამდვილობას.რადგანაც ხელშეკრულება კონტრაჰენტების ინტერესების ჰარმონიზაციას ემსახურება, ხელშეკრულების შესრულების ნაწილობრივი შეუძლებლობის დროს მნიშვნელოვანია დადგინდეს, მხარეებს შესრულების შეუძლებლობის შესახებ რომ სცოდნოდათ, დადებდნენ თუ არა ხელშეკრულებას მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.

62-ე მუხლის ზოგადი წესი არა მხოლოდ ბათილ, არამედ საცილო გარიგებებსაც ეხება. საცილო ხელშეკრულებების დროს მოვალის მიერ განხორციელებული ნაწილობრივი შესრულება კონტრაჰენტემა უნდა მიიღოს. საცილო გარიგებების ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია მოტყუებით, იძულებით და შეცდომით დადებული გარიგებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ნაპოლეონის კოდექსის გზა აირჩია. სსკ-ის 378-ე მუხლის მიხედვით, მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება ნაწილ- ნაწილ შეასრულოს, თუ კრედიტორი ამაზე თანახმაა. შესაძლებელისა, თუ არა ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება, ეს მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული. თუ შესრულების საგანი გაუყოფადია, ცხადია, მხარეთა ნება აქ არაფერ შუაშია და შესრულებაც ერთბაშად უნდა განხორციელედეს. თუ გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს ავტომანქანა, ცხადია, მისი ნაწილობრივი შესრულება გამორიცხულია. როცა ვალდებულების საგანს წარმოადგენს ვთქვათ 10 ცალი ავტომობილი მაშინ ვალდებულება შეიძლება შესრულდეს როგორც სრულად ისე ნაწილ-ნაწილადაც. თუ როგორ შესრულდება ვალდებულება ,ეს დამოკიდებულა იმაზე ,თუ რაზე შეთანხმდებიან მხარეები. თუკი ხელშეკრულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, და არც გარემოებანი იუწყებიან რამეს, ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების „მართლზომიერება“ დამოკიდებული იქნება კრედიტორის ნებაზე. ამდენად, კრედიტორს შეუძლია მიიღოს ნაწილ-ნაწილ შესრულება და შეუძლია არ მიიღოს

იგი. კრედიტორის ობიექტური უარი ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულების მიღებაზე ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილის ბათილობას ან შეწყვეტას იწვევს.[35]

მაგალითი:

ა-მ ასესხა ბ-ს 300 ლარი,ბინის ქირის გადასახდელად. ბ-ს, აღნიშნული თანხა უნდა დაებრუნებინა 2 კვირის ვადაში. დადგა თუ არა ვალის გადახდის დრო, ბ-მ, 150 ლარი შესთავაზა ა-ს და დარჩენის გადახდას კი შეპირდა თვის ბოლოს. ა-ს უფლება აქვს უარი თქვას ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღებაზე.

სსკ-ის 379-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა შესრულება გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, თუნდაც შესრულება დიდი ღირებულების მქონე იყოს. მოცემული მუხლის ნორმა იმპერატიულ დანაწესს შეიცავს მოვალისათვის, დისპოზიციურს კი კრედიტორისათვის. მოვალე ვალდებულია შეასრულოს ის მოქმედება, რომელიც ხელშეკრილებითაა განსაზღვრული . მას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად შეაცვალოს შესრულების საგანი. თუკი მოვალე ხელშეკრულებით ვალდებული იყო კრედიტორისათვის გადაეცა ავტომობილი, მას არა აქვს უფლება მოცემული საგანი შეცვალოს და მიაწოდოს ტრაქტორი. კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ის შესრულება,რომელიც ხელშეკრულებითა განსაზღვრული. კრედიტორის ეს უფლებამოსილება გამომდინარეობს იქიდან, რომ ყოველგვარი შესრულება დგინდება მის სასარგებლოდ.სსკ-ის 379-ე მუხლის მოთხოვნა სავალდებულოა ვალდებულებითი ურთიერთობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, მაშინაც კი, როცა მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება იძულებით.სასამართლოს არა აქვს უფლება, კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდ შეცვალოს შესრულების საგანი. **მოვალის მხრიდან შეთანხმებული მოქმედების ნაცვლად სხვა მოქმედების განხორციელება, უნდა განვიხილოთ როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა.** თუკი კრედიტორი თანახმაა მოვალის წინადადებაზე შეასრულოს სხვა მოქმედება, მაშინ მოვალეც უფლებამოსილი ხდება ამ მოქმედების შესრულებაზე. კრედიტორს აღნიშნული უფლება აქვს ყველა შემთხვევაში ,მაშინაც, როცა სხვა შესრულება ტოლფასია შეთანხმებული შესრულებისა და მაშინაც ,როცა სხვა შესრულება უფრო მეტი ღირებულების მქონეა. ამიტომაც, თუკი

[35] ჭანტურია ლ. ზოიძე ბ. ნინიძე თ. შენგელია რ. ხეცურიანი ჯ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი წიგნი III, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ., 319-321გვ

ხელშეკრულების საგანი იქნება კონპიუტერი და მოვალე კრედიტორს შესთავაზებს გაცილებით მეტი ღირებულების ტელევიზორს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს არ მიიღოს შესრულება. შესრულება კრედიტორის ინტერესებს ემსახურება და სრულიად, შესაძლებელია, რომ მოვალის მიერ შეთავაზებული უფრო მაღალი ღირებულების შესრულება კრედიტორისათვის არ იყოს ფასეული.[36]

ანალოგიურად წყდება აღნიშნული საკითხი ევროპული კანომდებლობითაც. ქართული სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1243-ე მუხლის რეცეფციის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ.[37]

აქედან გამომდინარე, როგორც საფრანგეთის, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კრედიტორს თავს არასოდეს არ მოეხვევა ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების მიღება.

§3.4 შესრულების საწყისი იურიდიული და შემდგომი დროებითი შეუძლებლობა

შესრულების იურიდიულ შეუძლებლობას შემდეგი შემთხვევები მიეკუთვნება: გარკვეულ სახელშეკრულებო მოქმედებაზე სახელმწიფო ორგანოების მიერ ნებართვის, ლიცენზიის და ა.შ. გაცემაზე უარი. მაგალიათად, სახელმწიფო აკრძალავს ხელით ნაქსოვი ხალიჩების საზღვარგარეთ გატანას ან არ გასცემს აუდიტორულ საქმიანობაზე ადვოკატს ლიცენზიას.

უკანასკნელ პერიოდამდე მაგალითად, შეუძლებელი იყო თბილისში ქალაქში ჩაუწერავი პირების მიერ საცხოვრებელი ბინის ყიდვა. ამ შემთხვევაშიც იურიდიული შეუძლებლობა ხელოვნურ ხასიათს ატარებდა. შესრულების საწყისი იურიდიული შეუძებლობის მაგალითებია აგრეთვე საკუთარი ნივთების, არარსებული ნივთების და უფლებების შეძენის შემთხვევები .მაგალითად, საქართველოს საფონდო ბირჟაზე ერთ-ერთი ბანკის სავაჭრო წარმომადგენელი იძენს ახალი სავაჭრო წარმომადგენლისაგან იმ აქციებს, რომელიც ბანკს ეკუთვნის.

---

[36] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი წიგნი III, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ ,322-324.

[37] French Civil Code,Translated by David W. Grunlng, Professor of law, Loyola University, School of law New Orleans, 2006.,1243 მუხლი.

შეუძლებელია საკუთარ დაუტვირთავ ნივთებზე დამატებით სანივთო და ვალდებულებითი უფლებების შეძენა.ამიტომ ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში კიონტრაჰენტთა შეცდომის პრეზუმცია არსებობს. რადგანაც ნივთის არ არსებობა ამავე დროს მასზე დადებული ხელშეკრულების შესრულების ფაქტობრივ შეუძლებლობას წარმოადგენს, სამართლებრივი თვალსაზრისით არარსებული უფლების შეძენაც შეუძლებელია.

მაგალითად, თუ „ა“ მიჰყიდის „ბ“-ს თავისი სახლის წინ ტროტუარზე სიარულის უფლებას, ამ შემთხვევაში ან აბსურდობაა არსებობს, ან სამართლებრივი შეცდომა. თუ ლიცენზიის ხელშეკრულება გარკვეულ საქმიანობაზე იმაზე ხანგრძლივი ვადით იდება, ვიდრე ამას საქმიანობის დაცვის ვადა ითვალისწინებს, ამის შემდეგ ამ საქმიანობის განხორციელება ლიცენზირებისაგან საერთოდ თავისუფლდება. უცხოეთის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ამ შემთხევვაში ლიცენზიის ხელშეკრულების არარსებობისას დარჩენილი დროის მიმდინარეობაზე ხელშეკრულების ნაწილობრივი ბათილობა წარმოიშობა.[38]

ჩემი აზრით, უცხოეთის სასამართლოს მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არის აბსოლუტურად სწორი, რადგან არ შეიძლება გაგრძელდეს იმ საქმიანობის განხორციელება, რომლისთვისაც არის საჭორო ლიცენზია, მისი მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ. თუ კონკრეტულ საქმიანობის განხორციელებისთვის დაიდო ლიცენზიის ხელშეკრულება და პირობითად, მისი მოქმედების ვადათ განისაზღვრა 2 წელი, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ თუ კვლავ გაგრძელდა ლიცეზით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება, ხელშეკრულების არაარსებობის დარჩენილი დროის მიმდინარეობაზე, ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნას მიჩნეული. ვთვლი,რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაშც უნდა დაინერგოს.

როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების სამოქალაქო კანომდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ შესრულების დროებითი დაბრკოლების არსებობისას მოვალე ხელშეკრულების შესრულებისაგან მაშინაც არ თავისუფლდება, როცა მას დაბრკოლების წარმოშობაში ბრალი არ მიუძღვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

[38] შაკიაშვილი.ბ,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა,თბილისი 1998 წ., 53-54გვ.

მე-400-ე მუხლის თანახმად, მოვალე რომელიც ვალდებულებას არ ასრულებს, პირველად შესრულების ვადის გადამცილებლად ითვლება. კრედიტორს ამ შემთხვევაში გააჩნია მისი გაფრთხილებისა და შემდეგ გასაჩივრების უფლება. სსკ-ის 401 მუხლის მიხედვით, მოვალის მიერ შესრულების ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.[39] ამ მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ ვადის გადაცილება ბარეული მოქმედების შემთხვევაში ხდება, როცა მოვალე განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ ასრულებს ვალდებულებას. მოვალის მიერ შესრულების ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ამდენად, ამ გარემოებათა დადგომა არც მოვალის პასუხისმგებლობას იწვევს. ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს მრავალგვარი. მოვალე ვერ ასრულებს ვალდებულებას, მაგალითად, იმის გამო, რომ მოხდა საწარმოს საქმიანობის შეჩერება საომარ მოქმედებეთა გამო. მოვალე მძიმე ავანდმყოფობის გამო, ვერც თვითონ პირადად ასრულებს ვალდებულებას და არც იმისი შესაძლებლობა აქვს, რომ სხვას მიანდოს მისი შესრულება. სამაგიეროდ ვადის გადამცილებლად ჩაითვლება ბინის დამქირევებელი, რომელიც დროულად არ ათავისუფლებს დაკავებულ ბინას.

მოვალე შესრულების ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაურთხილებლობისათვის, აგრეთვე შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა ვალდებულების დროული შესრულების დროსაც დამდგარიყო (402-ე მუხლი). ვადის ადაცილებისათვის მოვალე პასუხს აგებს ყოველგვარი გაურთხილებლობისას, უხეში იქნება ეს თუ მარტივი. მარტივი გაუფრთხილებლობისას პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუკი მხარეთა შეთანხმებით ან ხელშეკრულების სტანდარტული პირობებითაა იგი გათვალისწინებული. ამ მუხლის მეორე წინადადების მიხედვით მოვალე პასუხს აგებს ვადის გადაცილებით გამოწვეული შესრულების შეუძლებლობისათვის კერძოდ, შემთხვევით დამდგარი ზიანისათვის. სსკ-ს 402-ე მუხლის მეორე წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევა გამორიცხავს მოვალის ბრალს,

[39] ჩიტაიშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის., ჟურნალი „სამართალი“., თბილისი 2009 წ., 167-168 გვ.

მაგრამ არა პასუხისმგებლობას. აქ ის შემთხვევა გვაქვს,როცა ვადის გადაცილებას და შესრულების შეუძლებლობას შორის არ არსებობს ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი.[40]

მაგალითი

„ა“-მ„ბ“-საგან ითხოვა ავტომობილი ,რომელიც უნდა დაებრუნებინა 15 მარტისთვის. მას შემდეგ, რაც „ბ“-მ გადააცილა მისი დაბრუნების ვადას, ავტომობილის ფარეხს გაუჩნდა ცეცხლი და მანქანაც დაიწვა. 402- ე მუხლის საფუძველზე „ა“-ს დაეკისრება „ბ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურება, თუმცა ვადის გადაცილებასა და დამდგარ შედგებს შორის არ არის ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი. აუცილებელია ასევე, რომ შემთხვევითი გარემოების მოქმედებას ადგილი ჰქონდეს ვადის გადაცილების პროცესში.

402-ე მუხლის მეორე წინადადების მიხევით, მოვალე პასუხს არ აგებს, თუკი შესრულების შეუძლებლობას დროული შესრულების შემთხვევაშიც ექნებოდა ადგილი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, კრედიტორს არ გააჩნია არჩევანის შესაძლებლობა შესრულების ვადის გადაცილების ყველა დანარჩენი შედეგის მიმართ, თუ მოვალეს ხელშემშლელი გარემოების წარმოებაში ბრალი არ მიუძღვის. ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ კრედიტორი, რომელიც ვალდებულების დაგვიანებულ შესრულებაზე უარს ამბობს, ვერ აფასებს მოვალის იმ შესაძლებლობებს, როცა იგი თავის არაბრალეულობას ამტკიცებს. მოვალეს, რომელმაც ვალდებულება ვერ შეასრულა და ბრალი არ მიუძღვის, ვალდებულების შეწყვეტამდე შესრულების შეუძლებლობის გამო, შესრულება ისევ ეკისრება.[41]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის მიხედვით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი. თუკი კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. კრედიტორს კი უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. (404-ე მუხლი). ვადის გადაცილებისათვის დაწესებული პროცენტი ვალდებულების დროული შესრულების პრევენციული ფუნქციის მატარებელია. გერმანულ სამართალში იგი „მინიმალური ზიანის“ („Mindestschaden“) სახელწოდებითაა ცნობილი. კრედიტორის უფლება

[40] ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“., თბილისი 2009წ., გვ 60

[41] მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოს და გერმანიის კანომდებლობათა ანალიზი). სპეც გამოცემა., თბილისი 2004წ., 70 გვ.

ვადის გადაცილებისას არ შემოიფარგლება მარტოოდენ პროცენტზე უფლებით. ხელშეუვალია კრედიტორის უფლება ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე. ვადის გადაცილებას შეიძლება ხშირად შეიძლება მოჰყვეს ქონებრივი ზიანი. თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავეულ ნივთს, მაშინ გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება (576-ე მუხლის პირველი ნაწილი); ანდა, როცა გადაცილებულია ტვირთის ადგილზე მიტანის და ამის გამო წარმოიშობა ზიანი, გადამზიდველმა უნდა აანაზღაუროს იგი მხოლოდ ამ ტვირთის ღირებულების ოდენობამდე. მეტის ანაზღაურება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი 694-ე მუხლის თანახმად, არსებობდა განსაკუთრებული ინტერესი ამ გადაზიდვის მიმართ, ან მითითებული იყო ტვირთის ღირებულება (692-ე მუხლის 4 ნაწილი);[42] ვადის გადაცილებისას ზიანი ანაზღაურდება ყველა შემთხვევაში, როცა მას ექნება ადგილი. ზიანის ანაზღაურება მოხდება საერთო საფუძველზე. ამასთან, კრედიტორს კვლავაც შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების რეალური შესრულება, თუკი ასეთ შესრულებას ვადის გადაცილების გამო მისთვის არ დაუკარგავს ინტერესი.

§3.5 ხელშეკრულების შესრულების საწყისი შეუძლებელი პირობები და პირობითი გარიგებების პრობლემა

შეუძლებელი შეიძლება იყოს არა მარტო ვალდებულების შესრულების შინაარსი, არამედ ხელშეკრულების პირობაც. მაგალითად გავიხსენოთ ცნობილი ოხუნჯის მოლა ნასრედინის პირობა შაჰის წინაშე, რომლის თანახმადაც იგი კისრულობდა ყოველწლიური გასამრჯელოს საფუძველზე ლაპარაკი ესწავლებინა ვირისთვის.

ხელშეკრულების პირობა ყოველთვის საწყის შეუძლებლობას წარმოადგენს, რადგან პირობები ერთხელ, ხელშეკრულების დადების წინ დაითქმება, ვალდებულების შესრულების ხელშემშლელი გარემოებები კი მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოიშობა. პირობითად ითვლება გარიგება, როცა იგი დამოკიდებულია სამომავლო ან

[42] ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“., თბილისი 2009წ., გვ 62-63.

უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგება შეწყდება ამ მოვლენის დადგომისთანავე (სსკ-ის 90-ე მუხლი).

§ 158. გადადებისა და გაუქმების პირობა

(1) თუ გარიგება იდება გადადების პირობით, მაშინ ამ პირობაზე დამოკიდებული გარიგება ძალაში შედის ამ პირობის დადგომისთანავე.

(2) თუ გარიგება იდება გაუქმების პირობით, მაშინ გარიგების მოქმედება წყდება პირობის დადგომისთანავე; ამ მომენტიდან აღდგება წინა სამართლებრივი მდგომარეობა.[43]

მაგალითად

თუ საფეხბურთო კლუბი ფეხბურთელებისაგან ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას სთხოვს პირობად, სინამდვილეში ეს გუნდი არ მონაწილეობს ამ გათამაშებაში, ცხადია რომ პირობის შესრულება შეუძლებელია, ამიტომ ასეთი პირობით დადებული გარიგება იქნება ბათილი.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნობს ანდა ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული, მთლიანად ბათილია (91-მუხლი). სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რომელ კანონზეა საუბარი. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში იგულისხმება ნებისმიერი კანონი (მათ შორის, საჯაროსამართლებრივიც), რომელსაც მნიშვნელობა აქვს გარიგების შინაარსის განსაზღვრისას და მისი მართლზომიერების საზომად შეიძლება იქნეს გამოყენებული. მაშასადამე, ამკრძალავი კანონი შეიძლება იყოს როგორც სამოქალაქოსმართლებრივი, ასევე საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, საგადასახადო, სისხლისსამართლებრივი და ა.შ, ე.წ. ყველა კანონი, რომელიც კავშირშია გარიგების შინაარსთან და ამის გამო შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა.[44]

მაგალითად

მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, სპს-ის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, პირდაპირ, შეუზღუდავად და უშუალოდ. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. ამიტომ, თუ სპს-ს პარნიორები

[43] იან კროპჰოლერი,გერმანიის სამოქალაქო კოდექსი,სასწავლო კომენტარი,მე-13 გადამუშავებული გამოცემა,თბილის 2014წ,78გვ.

[44]ჭანტურია.ლ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“,თბილსი 2012წ., 354-355გვ.

შეთახმდნენ, რომ ისინი პასუხს არ აგებენ საზოგადოების კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალებისათვის, ასეთი შეთანხმება იქნება ბათილი და მესამე პირთა მიმართ სამართლებრივი ძალა არ ექნება.

Pacta contra bonos mores – ასე უწოდებდნენ ძველი რომაელები ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებებს და მათ ბათილად მიიჩნევდნენ. თანამედროვე კოდიფიკაციებიდან ანტიზნეობრივი გარიგებების ცნება პირველად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმა განამტკიცა, კერძოდ ,მე-6 და 1133-ე მუხლებში. იმის გამო, რომ მორალის ნორმები კოდიფიცირებული არის, ხშირად რთულია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელ ზნეობრივ ნორმას ეწინააღმდეგება გარიგება. ცხადია, ეს მოსამართლეს დამატებით სირთულეებს უქმნის. მაგრამ მოსამართლე მოცემული საზოგადოების რიგითი წევრიცაა და სხვებზე ნაკლებად არ იცნობს ამ საზოგადოების მორალურ ფასეულობებსა და მოთხოვნებს.[45]

მაგალითად:

მოსწავლის მიერ მასწავლებლისათვის საჩუქრის მირთმევა მოსამართლემ შეიძლება ანტიზნეობრივად ჩათვალოს არა იმიტომ, რომ საჩუქრის მირთმევა საზოგადოდ ამორალურია, არამედ იმიტომ, რომ პედაგოგის ეთიკა თვლის მას დაუშვებლად. მოსამართლისეული შეფასების საზომი უნდა იყოს, თუ როგორ შეაფასებდა ხალხი ან კონკრეტული სოციალური ჯგუფი ამგვარ გარიგებას. ეწინააღმდეგება თუ არა ესა თუ ის გარიგება ზნეობის ნორმებს, კონკრეტული ფაქტის საკითხია და ყოველი კონკრეტული გარიგების განხილვისას უნდა გადაწყდეს.

საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად იცვლება ამ საზოგადოების მორალური ფასეულობებიც. ის, რაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ამორალურად ითვლებოდა, დროთა განმავლობაში შეიძლება სრულიად ბუნებრივ მოვლენად იქნეს მიჩნეული. მაგალითად, შუა საუკუნეებში ამორალურად ითვლებოდა სიცოცხლის დაზღვევა რადგან ეს სიცოცხლით სპეკულირებად და ამორალურ ქმედებად მიიჩნეოდა.[46]

ქართულ ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად, ხელშეკრულება მაშინ უნდა იქნეს აღიარებული ზნეობის საწინააღმდეგოდ, როცა ეს იურიდიულად

[45] French Civil Code,Translated by David W. Gruning, Professor of law, Loyola University, School of law New Orleans, 2006., 6 და 1113 მუხლები.

[46] ჯუღელი თ., მორალური ვალდებულების ადგილი სამოქალქო სამართალში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია, №4,2005წ, 65-66გვ.

აუცილებელია და ის შეიცავს დარღვევას იურიდიულად მნიშვნელოვანი ინტერესებისა. მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში ზნეობის საწინააღმდეგოსდ და შესაბამისად ბათილად ჩათვალა შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულება, რომელიც მოსამსახურე ქალებს შრომის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ორსულობას უკრძალავდა.

თავი IV ბრალის ფორმების მნიშვნელობა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის დაფუძნებისათვის

ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოვალე პასუხს აგებდა მხოლოდ მაშინ, თუ მას ბრალი მიუძღოდა კრედიტორისათვის მიყენებულ ზარალში. ბრალის ყველაზე მძიმე ფორმა ზიანის მიყენებაა განზრახ. ბრალის მეორე ფორმაა გაუფრთხილებლობა. იგი ორი სახის იყო: უხეში გაუფრთხილებლობა და მსუბუქი გაუფრთხილებლობა.

- უხეშ გაუფრთხილებლობად ჩაითვლებოდა ისეთი ქვეცა, რომელსაც არ დაუშვებდა ყოველი საშუალო ადამიანი.
- მსუბუქ გაუფრთხილებლობად ითვლებოდა ისეთი ქცევა, რომელსაც არ დაუშვებდა კარგი, მზრუნველი მეურნე.

ბრალის სკითხს მნიშვნელობა ჰქონდა პასუხისმგებლობის განზრახვისათვის. თუ პირმა გამოიჩინა სრული ყურადღება და მზრუნველობა, მაგრამ ზიანი მაინც დადგა ასეთ შემთხვევაში პასუხს არ აგებდა. მაგ, გემის ან სასტუმროს პატრონი პასუხს აგებდა მინდობილი ქონების დაღუპვისათვის, მაგრამ თუ ეს ქონება დაიღუპებოდა დაუძლეველი ძალის გამო - არა.[47]

დღესღეობითაც სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, რომელიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. გაუფრთხილებლობა, თავის მხრივ, შესაძლებელია დაიყოს უხეშ და მარტივ ფორმებად. სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტის სახელშეკრულებო პახსუხისმგებლობის განსაზღვრისათვის ბრალის ცალკეული ფორმის არსებობა იურიდიული მნიშვნელობის მქონეა და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს წარმოშობს.

§ 4.1 განზრახვა

განზრახი ბრალის ფორმა გულისხმობს ვალდებულების დარღვევას სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყველა მნშვნელოვანი გარემოების ცოდნისა და მოვალის მიერ საკუთარი ვალდებულებების გაცნობიერების პირობებში. შესაძლებელია მხარეს არასწორი წარმოდგენა ჰქონდეს საქმის ნამდვილ ვითარებაზე- ცდებოდეს როგორც

[47] *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009, 79P.

კონკრეტულ ფაქტებში, ასევე სამართლის ნორმის შინაარსში, არ ცნობდეს თავს ვალდებულად. ამ შემთხვევაში განზრახი ბრალის არსებობა გამოირიცხება, სანაცვლოდ მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის, რადგან ვალდებულების დარღვევა განიხილება როგორც მისი დაუდევარი მოქმედების (უმოქმედობის შედეგი).[48]

მხარის პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად პატივსადები საფუძვლით განხორციელდა მის მიერ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების მცდარი შეფასება. მოვალის შეცდომა სამართლებრივი ნორმების ნამდვილ შინაარსში გაცილებით მძიმედ ფასედება სასამართლოს მიერ, ვიდრე კონკრეტული ფაქტების შესახებ არასწორი წარმოდგენები. მაგალითად, სანამ პირი არ შეიტყობს მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ, მანამ სამკვიდროს მიღების ვადის დენა არ იწყება.[49]

მართალია, სსკ არ იძლევა განზრახვის ცნების განმარტებას, მაგრამ სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული განზრახვის კატეგორია სისხლის სამართალში აღიარებული ანალოგი კონცეფციის იდენტურია. განზრახვა მოიცავს ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების ცოდნას, ასევე მართლწინააწმეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპონენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა გადამწყვეტია პირის ბრალეულობის განსაზღვრისათვის. ვალდებულების შეუსრულებლობის ეტაპზე სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოების ცოდნასა და გაცნობიერებას იურიდიული დოქტრინა პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრულ დატვირთვას ანიჭებს.[50]

მნიშვნელოვანია, რომ „სამოქალაქო სამართალში შეცდომა გამორიცხავს განზრახვას“ და არა ბრალეულობას, ვინაიდან სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს აუცილებელი გულისხმიერება და გონივრული წინდახედულობა ავალებს კანონით ან

---

[48] *Markesinis S. B., Unberath H., Johnston A.,* The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006., 447.p.

[49] ჭანტურია .ლ, ზოიძე.ბ, ნინიძე. თ, შენგელია.რ, ხუცერიანი.ჯ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებით სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“,თბილისი 2001წ, 382გვ.

[50] ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა, ჟურნალი ქართული სამართლის მომიხილვა, 1998 წ, I კვარტალი., 28 გვ.

ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული ვალდებულების ცოდნას. ამის ნათელი დადასტურებაა სსკ-ის მე-3(2) მუხლის ფორმულირება: კანონის არცოდნა ან მისი არასათანადო გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენლობის ან ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

§4.2 გაუფრთხილებლობა და მისი ფორმები

სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ვალდებულების დარღვევა უმეტესად ხორციელდება ფაურთხილებლობით, რაც გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას.

კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირეულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული მისი ანალიგიისაგან. გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას. გაუფრთხილებლობის არსი გერმანულ სამართალშიც ობიექტურადაა განსაზღვრული. გსკ-ის 276-ე II პარაგრაფი

პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით, როდესაც ხელშემკვრელი მხარის ინტერესებისადმი არ იჩნს გონივრულ წინდახედულობას.

გერმანული სამართლისათვის ცნობილია ნდობის პრინციპი, რომლის თანახმად, სამოქალაქო ბრუნვის ყოველ მონაწილეს შეუძლია დაეყრდნოს ვარაუდს, რომ ურთიერთობის სხვა მონაწილე იმოქმედებს სათანადო გულისხმიერებით.

გაუფრთხილებლობა, სამოქალაქო სამართალში იყოფა უხეშ და მარტივ ფორმებად. უხეში გაუფრთხილებლობისას სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი ყურადღებიანობის გმოთხოვნა „უჩვეულოდ“ მაღალი ხარისხით ირღვევა, რის გამოც ხშირად განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება. მარტვივი გაურთხილებლობისას კი გონივრული წინდახედულობისა და ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია.[51]

[51] cvaigerti k., kotci h., SedarebiTi samarTalmcodneobis Sesavali kerZo samar-Tlis sferoSi, t. II, Tbილისი., 2001წ, 290გვ.

ევროპული სამართლებრივი სისტემის ზოგიერთ ქვეყანაში განზრახი ქმედება მოიცავს უხეშ გაუფრთხილებლობასაც, რომელიც ხშირად მიჩნევა (არაპირდაპირ განზრახვად). ევროპული პრინციპების მიერ განზრახვის კატეგორიაში უხეში გაუფრთხილებლობის გაერთიანებას განსახღვრული საფუძველი აქვს. ამის მიზეზი უნდა იყოს განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშნის არსებობა - ორივე შემთხვევაში მხარის მიერ საკუთარი ქმედების სამართლებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებისა და მისი შედეგის, გათვალისწინების შესაძლებლობა, რაც უცხოა მარტივი გაუფრთხილებლობისათვის.

§ 4.3 პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუძლეველი ძალის გამო

გსკ-ის § 7019(3). სასტუმროს მფლობელის პასუხისმგებლობა

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ ნივთის დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება გამოწვეულია სტუმრის, მისი თანხმლები პირის, ან იმ პირის მიერ, ვინც სტუმარმა თავისთან მიიღო, ან ნივთების თვისებებით, ანდა დაუძლეველი ძალის შედეგად.[52]

სსკ-ი 779 მუხლი

პაუსხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, სტუმრის ან მისი თანმხლები პირის მიერ, ანდა თვით ნივთის თვისებებით.

აღნიშნული ნორმა ადგენს შემნახველის პასუხისმგებლობის გამორიცხვას ფორს-მაჟორული გარემოებების, სტუმრის ან მისი თანმხლები პირის მოქმედების ანდა ნივთის თვისებით გამოწვეული ზიანისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში ფორს-მაჟორი განიმარტება როგორც იმდაგვარი ვითარება, როდესაც მხარეს არ შეუძლია თავიდან აიცილოს გარკვეული სტიქია, არ შეუძლია ხელი შეუშალოს ან გადალახოს ეს წინააღმდეგობა ან მისი შედეგი. თუკი შენახულ ნივთს მიადგა ზიანი, ეს განიხილება შემნახველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად, მხოლოდ მაშინ, თუკი მან ყველა აუცილებელი პირობა შექმნა ნივთის შენახვისათვის, თუმცა ფორს-მაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო

[52] იან კროპჰოლერი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა., თბილის 2014წ., 54გვ.

საფრთხის თავიდან აცილება. ამასთან მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მიმბარებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ფორს-მაჟორული გარემოების მიუხედავად.

ფორს-მაჟორად შეიძლება მიჩნეულ იქნეს:

1. მეტეოროლოგიური პირობები. ასეთებია: ქარი, ატმოსფერული ნალექი, ციკლონი, მიწისძვრა, ცუნამი, წყალდიდობა და სხვა.

2. ქურდობა. ქურდობის შემთხვევაში შემნახველმა უნდა დაამტკიცოს, რომ მან საკმარისი უსაფრთხოების ზომები მიიღო, მაგრამ ქურდმა გამოიყენა საშუალებები, რომელსაც ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა ვერ გაეწეოდა და წინასწარ ვერ იქნებოდა გათვალისწინებული. საკმაოდ ხშირად მართლმსაჯულება უარს ამბობს მიბარებული ავტომანქანების ქურდობის შემთხვევაში შემნახველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე. ქურდობის მიუხედავად, მიმბარებლის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, მაგალითად რესტორნის გასახდელთან ან სილამაზის სალონიდან ქურქის მოპარვისას. სამკაულების ქურდობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია იყო თუ არა შემნახველის მხრიდან გამოჩენილი საკმარისი სიფრთხილე. ქურდობა თუკი იგი ჩადენილია სასტუმროს, სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის მომსახურე პერსონალის მიერ შემნახველს აკისრებს პასუხისმგებლობას. ამასთან, ფორს-მაჟორის აღიარება არ ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე მიიჩნევს, რომ შემნახველმა არ მიიღო ყველა ზომა მობარებული ნივთის მოპარვის თავიდან აცილების ასაცილებლად.

3. სხვა შემთხვევები. ფორს-მაჟორად შეიძლება შეფასდეს სხვა შემთხვევები, მაგალითად ხანძარი. თუმცა სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ხანძრის ფორს-მაჟორად აღიარებაზე კონკრეტული გარემოების შესწავლით, მაგ. ზაფხულის პერიოდში ამა თუ იმ ტერიტორიაზე ხანძრის გაჩენის ალბათობის გათვალისწინება. მნიშვნელოვანია შეფასდეს, მიიღო თუ არა შემნახველმა ყველა ზომა ნივთის ხანძრისაგან დასაცავად. ფორს-მაჟორი შეიძლება ასევე გამოწვეული იყო მესამე პირთა ბრალით, მაგალითად ამბოხი ან თავად მიმბარებლის ბრალეულობით.

საქართველოს სამოქალაქო კანომდებლობა იცნობს მთელ რიგ შემთხვევებს, როდესაც დაუძლეველი ძალის ვითარებაშიც შეიძლება მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა. ეს შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. ასე მაგალითად, როგორც საბჭოთა საჰაერო კოდექსი, ისე მოქმედი

საჰაერო კოდექსი საჰაერო ხომალდის მფლობელს პასუხისმგებლობას აკისრებს მგზავრზე მიყენებული ზიანისათვის, მაშინაც კი, როცა ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით. ამაზე შესაბამისი მითითება გვაქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მესამე ნაწილშიც.

სსკ-ის 999 (3) მუხლი

1. მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა: ა) ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრს ეს ტვირთი თან მიაქვს; ბ) ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს.
აღნიშნული იმაზე მიუთითებს რომ, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა მას ზიანის დადგომაში ბრალი არ მიუძღვის.[53]

სამოქალაქო კოდექსის 831-ე მუხლი განამტკიცებს, რომ მზღვეველი ომით ან სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანისათვის მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ ეს გათვალისწინებულია სპეციალური შეთანხმებით.

სამოქალაქო კანომდებლობით დადგენილი პასუხიმგებლობისაგან გათავისუფლების წესები ხშირ შემთხვევაში არ არის სრულყოფილი. ხელშეკრულების მხარეებს სამართლებრივი ურთიერთობის უკეთ მოწესრიგების მიზნით შეუძლიათ

[53] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხუცერიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, IVწიგნი ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი 2001წ., 408გვ.

ხელშეკრულებაში ჩართონ პასუხისმგებლობისაგან თავისუფლების პირობები,ე.წ. ფორს-მაჟორული დათქმები.

ფორს-მაჟორული დათქმების შინაარსი დამოკიდებულია კონკრეტულ ფაქტობრივ და იურიდიულ გარემოებებზე. კომერციულ პრაქტიკაში გხვდება ისეთი ხელშეკრულებები, რომლებშიც კონტრაჰენტები უბრალოდ მიუთითებენ ფორს- მაჟორულ გარემოებებზე და არ ჩამოთვლიან კონკრეტულ მოვლენებს. უფრო ხშირად ფორს-მაჟორის დათქმა იმ გარემოებების ჩამონათვალს შეიცავს რომელთა დადგომისას მხარეები ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდნენ. ეს მოვლენები, რასაკვირველია, წინასწარ განისაზღვრება კონკრეტული გარიგების ბუნებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო სავაჭრო პალატამ ფორს-მაჟორულ გარემოებათა დროს მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები შემდეგნაერად ჩამოაყალიბა:

1. კონტრაჰენტი პასუხს არ აგებს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის თუ დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი იყო ობიექტური მიზეზების გამო და მას ხელშეკრულების დადებისას არ შეეძლო შესრულების ხელისშემშლელი მოვლენისა და მისი შედეგების გათვალისწინება, ხოლო შემდგომ - მათი აღკვეთა და გადალახვა.

2. ხელშეკრულების შესრულება შეიძლება დააბრკოლოს შემდეგმა მოვლენებმა:

ა) გამოცხადებულმა ან გამოუცახდებელმა ომმა, სამოქალაქო უწესრიგობამ, რევოლუციებმა, მეკობრეობამ ან საბოტაჟმა;

ბ) სტიქიურმა უბედურებებმა: ქარიშხალმა, ციკლონმა, მიწისძვრამ, ცუნამმა, წყალდიდობა, ჭექა-ქულიმა;

გ)აფეთქებამ, ხანძარმა, მანქანა-მოწყობილობათა დასხვა დანადგართა მწყობრიდან გამოსვლამ და დაზიანებამ.

დ) გაფიცვამ,მუშაობის შეფერხებამ,ბოიკოტმა და სხვა;

ე) ხელისუფლების კანონიერმა და უკანონო მოქმედებებმა რომელთა დაკავშირებითაც

მოვალე ვალდებულების რისკს სწევს.[54]

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შესრულების ხელისშემშლელმა გარემოებამ არ უნდა დააბრკოლოს განსაზღვრული ნებართვის, ლიცენზიის, გასასვლელი ვიზების გაცემა სახელმწიფო ორგანოს მხრიდან კონტრაჰენტებისათვის. ხელშეკრულების ის მხარე, რომელიც მოითხოვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, მოვალეა მეორე მხარეს შეატყობინოს ფორს-მაჟორული გარემოების წარმოშობის და მისი შესაძლო შედეგების შესახებ. კონტრაჰენტი პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს დაბრკოლების წარმოშობის მომენტიდან. ხელისშემშლელი მოვლენის შესახებ დროულად შეუტყობინებლობის შემთხვევაში მოვალემ კრედიტორს უნდა აუნაზღაუროს მიუენებული ზიანი,რომელიც შეიძლებოდა თავიდამ ყოფილიყო აცილებული.

დაუძლეველი ძალის გარემოების წაროშობისას ხელშეკრულების შესრულება იმ ვადით გადაიწევს, რა ხნის მანძილზეც დაბრკოლების ზემოქმედება ივარაუდება. მისაღები ვადის დადგენისას საყურადღებოა დამრღვევი მხარის მიერ ვალდებულების შესრულების განახლების შესაძლებლობა, მეორე მხარის ინტერესი შესრულების ვადის გადაცილების დროს ხელშეკრულების შესრულებაზე.

თუ შესრულების ხელისშემშლელი გარემოება მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაზე დიდხანს არსებობს, ერთ-ერთ ან ორივე კონტრაჰენტს უფლება აქვს ხელშეკრულება შეწყვიტოს დამატებითი შეტყობინების გარეშე. თითოეულ მხარეს შეუძლია შეინარჩუნოს ხელშეკრულების შესრულების შედეგი მის შეწყვეტამდე.მხარეები ვალდებულნი არიან ანგარიში ჩააბარონ ერთმანეთს ნებისმიერი უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ, რაც ამ ვალდებულების შესრულების შედეგმა მოიტანა.[55]

ფორს-მაჟორული პირობები მთლიანად ესადაგება ხელშეკრულების შეუსრულებლობის სხვადასხვა სიტუაციას: შესრულების ვადის გადაცილება, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება და სხვა. საერთაშორისო სავაჭრო პალატამ ფორს-მაჟორულ გარემოებად არ განიხილავს იმ მოვლენებს,რომელთა გათვალისწინება მოვალეს შეეძლო,რომელთა შესახებ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა.ფორს-მაჟორული

[54] შაკიაშვილი ბ., ფორს-მაჟორული დათქმები კომერციულ პრაქტიკაში, ჟურნალი „ეკონომიკა“, №9-10, 1997 წ., 94 გვ.

[55] А.С. Комаров, Отвественность в комерческом обороте, М., 1999., 73-75 стр.

მოვლენების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, შეიძლება მისი გაფართოება. აქ გადამწყვეტია ის, რომ ხელისშემშლელი გარემოებები შესაბამიობაში უნდა იყოს უკვე დადგენილ კრიტერიუმებთან.

თავი.V ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის დროს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საკითხები

§5.1 სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების შესახებ საფრანგეთის და გერმანიის სამართლებრივი ნორმების საფუძველზე

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ნორმები მოვალის სახელშეკრულებო პასიხისმგებლობისა და მისგან გათავისუფლების შესახებ საერთო ევროპულ სამართალს შეესაბამება.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალემ ყოველთვის უნდა აანაზღაუროს ზიანი. იგი პასუხისმგებლობისაგან მაშინ გათავისუფლდება, თუ დაამტკიცებს, რომ ვალდებულების შესრულებაში იგი შემთხვევითობამ ან დაუძლეველმა ძალამ დააბრკოლა. ნაპოლეონის კოდექსის 1147-ე მუხლის მიხედვით მოვალეს არ ეკისრება ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის და შესრულების ვადის გადაცილებისათვის თუ დაამტკიცებს, რომ შესრულების ხელისშემშლელი გარემოები მისი ბრალის გარეშე წარმოიშვა და იგი კეთილსინდისიერად მოქმედებდა.[56]

საფრანგეთის სამოქალაქო სამართალში „შემთხვევითობა“ და „დაუძლეველი ძალა“ სრული სინონიმები არ არის, როგორც ამას შედარებით-სამართლებრივ ლიტერატურაში ამტკიცებენ. სცადეს ეს ცნებები გაემიჯნათ. ორივე კონცეფციისათვის საერთოა მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების წინაპირობები, სახელმდებრ: მოვალე საკუთარ არაბრალეულობას ამტკიცებს, თუ შესრულების ხელშემშლელი მოვლენა:

1. იწვევს შესრულების შეუძლებლობას
2. გაუთვალისწინებელია
3. დაუძლეველია
4. გააჩნია „უცხო ზეგავლენა“

ამ წინაპირობების ერთობლივი არსებობისას მოვალე პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. ხელშეკრულება შეწყდება, თუ არ არსებობს კრედიტორის ბრალი და მოვალე ზიანის ანაზღაურებას არ ითხოვს.

[56] French Civil Code,Translated by David W. Gruning, Professor of law, Loyola University, School of law, New Orleans,2006.1147-ე მუხლი.

„შემთხვევითობისა“ და „დაუძლეველი ძალის“ ცნება ერთმანეთისაგან საკმაოდ რთულად იმიჯნება. ზოგიერთი ავტორის აზრით, „შემთხვევითობა“ მოიცავს შესრულების „აბსოლუტურ“ შეუძლებლობას, ე.ი ვალდებულებას ვერავინ ვერ შეასრულებს. „დაუძლეველ ძალაში“ იგულისხმება შესრულების შეფარდებითი შეუძლებლობა, რომელიც აგრეთვე ობიექტური ხასიათისაა, მაგრამ მხოლოდ კონკრეტული მოვალის სახელშეკრულებო ურთიერთობას ეხება.[57]

ჩემი აზრით, ცნებები „შემთხვევითობა“ და „დაუძლეველი ძალა“, ერთმანეთს უთანაბრდება და ორივე მათგანი წარმოშობს ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელ გარემოებს. ტერმინი „შემთხვევითობა“ შეგვიძლია ვიხმაროთ მაშინ, როდესაც ვალდებულებას არამარტო მოვალე, არამედ სხვა პიროვნებაც ვერ შეასრულებს. მაგალითად, თუ სახელმწიფო აკრძალავს იმ ნივთის ექსორტს, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს და თუ, მოვალისა და კრედიტორისათვის უცნობი იყო და ისინი ხელშეკრულების დადების დროს ვერ წარმოიდგენდნენ, რომ სახელმწიფო აკრძალავდა, კონკრეტული ნივთის ექსპორტს. მაგ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოება შემთხვევით წარმოიშვა. რაც შეეხევა დაუძლეველ ძალას მასში იგულისხმება სტიქიური და სხვა უბედურებები. მაგალითად, თუ ძლიერი წვიმის შედეგად ზღვაზე შტორმია და გემით ვერ მოხდება ტვირთის გადატანა, მაგ შემთხვევაშიც ვალდებულბის შესრულება ვერ შეეძლეება არა მარტო მოვალეს, არამედ სხავა პიროვნებასაც უკანასკნელ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოება წარმოიშვა დაუძლეველი ძალის საფუძველზე.

საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის საფუძველზე, დაუძლეველი ძალის გამო მოვალე პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრულ საქონელთან, განსაკუთრებით ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების დროს.

გერმანულ სამართალში არ არსებობს ფოესმაჟორის სახელწოდების შესატყვისი კონცეფცია, თუმცა გერმანიის სამოქალაქო სჯულდება გამამტკიცებს უზოგადეს პრინციპს, რომელიც ვალდებულების დარღვევისათვის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას

[57] Reynaud.M.,Droit civil,II Les obligations,Paris 1962., 483p.

მოვალის ბრალეულობას, სულ მცირე გაუფრთხილებლობის არსებობას უკავშირებს, თუ მკაცრი პასუხისმგებლობა (ე.წ. გარანტია) არ არის შეთანხმებული, ან არ გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან. შესაბამისად, გერმანული სამართლის თანახმად, ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როდესაც დაბრკოლება მხარის კონტროლის მიღმაა, რომელსაც ვალდებულების დარღვევისადმი გაუფრთხილებლობაც კი არ შეერაცხება. პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი ფორსმაჟორის სამართლებრივ შედეგს შეესაბამება.

ამრიგად, მართალია, გერმანული სამართალი არ იცნობს ფორს-მაჟორის კონცეფციას, მაგრამ იდენტური სამართლებრივი მიზანი (შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება) სხვა სახელწოდების ინსტიტუტით მიიღწევა. კერძოდ, შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა აფუძნებს ფორსმაჟორის სამართლებრივ შედეგს- შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამორიცხვით.[58]

§5.2 პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეცვლილი გარემოებების დროს

შესრულებაზე ორიენტაციის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია სსკ-ის 398-ე მუხლი, რომელიც ეხება ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი. ასეთი მიდგომით სსკ ეხმიანება თანამედროვე ევროპულ სამართალს. ამით ხელშეკრულება წარმოჩინდება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც გარემიებათა შესაბამისად შეიძლება საჭიროებდეს სახეცვლილებას. კანომდებელმა მხარეებს მისცა შანსი ერთხელ გამოხატულ ნებაში კორექტივები შეიტანოს, რასაც სსკ ასე გამოხატავს„... ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა“. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სსკ მხარეებს ურჩევს ჯერ შეეცადნონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს.[59]

---

[58] მაჩალაძე ს.,ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარვევისას(საქართველოს და გერმანიის კანომდებლობის ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეც.გამოცემა,თბილისი 2004წ, 77გვ.

[59] გიორგი ჯოლია-„სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები, ჟურანლია „სამართლებრივი განვითარება“, №5, 2017წ.,8 გვ.

ხშირია შემთხვევები, როცა მომავალი ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულებას ამა თუ იმ გარემოებასთან დაკავშირებით დებენ. მაგალითად, თუ მოცემულ ქვეყანაში საბაჟო გადასახადები დაბალი იქნება,ხელშეკრულების დადების შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ ეს პირობები შეიცვალა, რაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს არათანაბარ და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკამ განავითარა ნორმა, რომელიც ხელშეკრულების მხარეს ასეთ შემთხვევაში უფლებას აძლევს მოითხოვოს ამ ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ანდა ხელშეკრულების მოშლა. ანალოგიურ ნორმას, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ვერ ნახავთ, რომელშიც სათანადოდ არ არის გამოკვეთილი შეცვლი გარემოებათა ინსტიტუტი. იგი იქ განიხილება შესრულების შეუძლებლობის ინსტიტიტთან ერთად. ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა 398-ე მუხლში განამტკიცა ხელშეკრულების მოშლის უფლება შეცვლილი გარემოებების გამო. ამ მუხლის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომელიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა ,ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით. თუ ეს ცვლილებები გათვალისწინებულ იქნება, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში ცალკეულ, გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეცვლილი ხელშეკრულების დაცვა. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომელიც ხელშეკრულებების დადების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა. მხარეები ჯერ უნდა შეეცადნონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლ გარემოებებს. თუკი ეს შეუძლებელია ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს რომლის ინტერესიც დაირღვა, შუეძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.[60]

მაგალითად

თუ ნარდობის ხელშეკრულების დადებისას მენარდეს თავის მიერ შეძენილი მასალებით უნდა შეესრულებინა სამუშაო, მაგრამ ხელშეკრულების დადების შემდეგ მცირე დროში მასალის ფასები გაათმაგდა.

[60] Fried C., Contract as Promise: A theory of Contructual obligations, Harvard university press Cambridge 1981., 69-71p.

ხელშეკრულების გარემოებების შეცვლის დროს, შესრულების შესაძლებლობა მაინც არსებობს, მაშინ, როცა შესრულების შეუძლებლობისას იგი გამორიცხულია. შეცვლილი გარემოებენი უმეტესწილად გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოიყენება, ისეთში ,სადაც შესრულება „გაწელილია“ დროის გარკვეულ პერიოდში. ამასთან ცხადია,რომ იგი მოკლევადიან ურთიერთობებშიც გხვდება. სამოქალაქო კოდესი შეიცავს მთელ რიგ ნორმებს, რომლებშიც დაფიქსირებულია მხარის ცალმხრივი უფლება უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებაზე.

მაგალითად

628-ე მუხლის მიხედვით სესხის შეპირებისას დამპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუკი მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას მის დაბრუნებას.

Clausa rebus sic stantibus-ის დათქმის საფუძველზე, მოვალე 396-ე მუხლის მიხედვით პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ გარემოებები ხელშეკრულების დადების შემდეგ საფუძვლიანად იცვლება, მხარეებს არ შეეძლოთ ამ ცვლილებების გათვალისწინება, გადალახვა, აღკვეთა, თავიდან აცილება და მათ წარმოშობაში ბრალი არ მიუძღვით.

გერმანიის სამოქალაქო სამართალში შეცვლილი გარემოებების დროს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დათქმა პოზიტიურად არ არის განსაზღვრული. ამიტომ, სასამართლო პრქტიკის გათვალისწინების საფყძველლზე უნდა მოეფინოს ნათელი აღნიშნულ საკითს. შეცვლილი გარემოებების დროს მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლრება ხდება, როცა მოვალის მიერ შესასრულებელი ვალდებულება შეუსაბამოდ იზრდება ან ვალდებულების შესრულების ღირებულება არც იზრდება და არც მცირდება, მაგრამ ხელშეკრულების შესრულების დასახული მიზანი ვერ მიიღწევა.[61]

[61] *Collins H.*, The Law of Contract, Cambridge University Press, New York, 2003, 216-217;

§5.3 გვაროვნული ნივთებთან დაკავშირებული შესრულების ვალდებულების პრობლემა

სსკ-ის 382-ე მუხლი

თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), ვალდებულება ყოველთვის უნდა შესრულდეს.

გვაროვნული ნივთი გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთია, კერძოდ ზომით, წონით, რაოდენობით და ასე.შ. ინდივიდუალური ნივთები ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთებია. ამ თვისებათა გამო გვაროვნული ნივთები შეცვლადი ნივთებია, ინდივიდუალური კი -არა. ამიტომაცაა, რომ როცა შესრულების საგანია გვარვნული ნივთი, მოიაზრება მოცემული გვარის ყველა ნივთი. მოვალეს შეუძლია ნებისმიერი ნივთი შესთავაზოს კრედიტორს მოცემული გვარიდან. ქირავნობის, თხოვების, იჯარის საგანი შეუძლებელია იყოს გვაროვნული ნივთი, ისევე, როგრც სესხის საგანი შეუძლებელია იყოს ინდივიდუალური ნივთი; ნასყიდობისას, გაცვლისას და ა.შ. შესრულების საგანი შეიძლება როგორც ერთი, ისე მეორე იყოს.[62]

მაგალითად

თუ რომელიმე რაიონის ღვინის ქარხანამ რომელიმე შპს ვეღარ მიაწოდა ჩამოსასხმელი ღვინის შემდგომი პარტია იმის გამო, რომ ყურძნის მოსავალი იმ წელს სეტყვის შედეგად განადგურდა, ცხადია, იგი პასუხისმგებლბისაგან ვერ გათავისუფლდება, რადგანაც მას შეუძლია ყურძნის მოსავალი თუნდაც სხვა რაიონში იყიდოს და ისე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

გვაროვნული ვალდებულება მოვალეს შესრულების მეტ შესაძლებლობას აძლევს... ვიდრე მოცემული გვარის ნივთები სამოქალაქო ბრუნვაშია, მანამ არსებობს მისი შეძენის იბიექტური შესაძლებლობა. პირმა ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს, მისი ეს ვალდებულება მაშინ ქარწყლდება, როდესაც მოცემილი გვარის ნივთები სამოქალაქო ბრუნვიდან საერთოდ გაქრება, ანდა მათი შეძენა დაკავშირებული იქნება უზომოდ დიდ დანახარჯებთან, რაც სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე მიუღებელი იქნება. ზემოთ მოყვანილი მაგალითის საფუძველზე, იგივე ჩამისასხმელი ღვინის მიწოდების

[62] Новицкий И.Б., Лунц Л.А. Общее учение об обязательстве, М 1950., 116 стр.

ვალდებულება შეწყდება, თუ ღვინის ქარხანას ყურძნის შეძენა არათანაზომიერად დიდი ხარჯები დაუჯდება.[63]

ასე მაგალითად, როცა ნასყიდობის საგანი გვაროვნული ნივთია და იგი ნაკლის მქონეა, გამყიდველს შეუძლია უარი თქვას მის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდი ხარჯებს (სსკ-ის 490-ე მუხლი). ასე, რომ შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა მოვალეს ათავისუფლებს ნივთის შეცვლის ვალდებულებისაგან.

[63] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ ,327-328.

თავი .VI სასამართლო პრაქტიკა

ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო პირგასამტეხლოს დაკისრება

სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა

დღეისათვის სასამართლო პრქატიკაში რთულია იმის დადგენა, რომ მიუძღვის თუ არა მოვალეს ბრალი ვალდებულების არაჯეროვან შესრულებაში და რა სახის გარემოებები უნდა იქნეს მიჩნეული ფორს-მაჟორად, რომელმაც წარმოშვა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა.

წინამდებარე საქმის დავის საგანს წარმოადგენდა ის, რომ აპელანტი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო ითხოვდა პირგასამტეხლოს დაკისრებას მოწინააღმდეგე მხარისათვის. წინამდებარე გადაწყვეტილების მიხედვით, მოსარჩელეს წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტრო, რომელმაც აღძრა სარჩელი შპს „მ.ს.მ“-ს წინააღმდეგ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ,ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლით. საქმე ეხებოდა 2013 წლის 16 აგვისტოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შპს „მ.ს.მ“-ს შორის დადებულ ხელსშეკრულებას. ამ ხელშეკრულებით მოპასუხემ იკისრა ვალდებულება შემსყიდველისათვის (თავდაცვის სამინისტრო) მიეწოდებინა საქონელი, ღირებულებით 974950 ლარი, 2013 წლის პირველ ნოემრამდე. კერძდ ქურთუკი, მათბუნებელი, საქარე შარვალი, საწვიმარი ლბადა, სავალე ფორმა კეპით და პანამით. მიწოდების ადგილად განისაზღვრა გარდაბნის მუნიციპალიტეტი დაბა ვაზიანი. ხელშეკრულებით განისაზღვრა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საქართველოს ეკონიმიკისა და მდგრადი განვითარების საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2013 წლის 25 ოქტომბერს გაცემული ინფორმაციის მიხედვით ფოთის ნავსადგურის სახელმწოფო კონტროლის სავახტო ჟურნალის მიხედვით, 2013 წლის ნოემბრის თვეში ცუდი ამინდის გამო ნავსადგურში გემების შემოსვლა და გასვლა დროებით შეჩერებული იყო 2013 წლის 28 ოქტომრის 04.25 საათიდაან ამავე წლის 29

ოტქომბრის 20.00 საათამდე. ამავე წლის 8 ნოემბრის 02.20 საათიდან 12 ნოემბრის 20.30 საათამდე. 15 ნოემბრის 20.40 საათიდან 16 ნოემბრის 07.40 საათამდე. გარემოს ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის ცნობიდან ირკვევა, რომ ფოთის მეტეროლოგიური სადგურის მონაცემებით 2013 წლის 28 ოქტომბერს იქნებოდა ძლიერი შტორმი, ტალღის სიმაღლე 13-19 დმ (4 ბალი) ხოლო ქარის მაქსიმალური სიჩქარე 18მ/მწ, რომელიც განეკუთვენბა ძლიერი შტორმული ქარის კატეგორიას. 2013 წლის 5 ნოემბერს შპს „მ.ს.მ„-მ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომ ვერ მოახერხა ვალდებულების შესრულება დაგენილ ვადაში ფოთის პორტში შექმნილი ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა ფორს-მაჟორული მდგომარეობის დამადასურებელი მტკიცებულების წარდგენა. შპს „მ.ს.მ“-მ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში წარადგინა მის ხელთ არსებული დოკუმენტები ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლით დატვირთული გემის მოძრაობის შესახებ და სხვა მტკიცებულებები. თავდაცვის სამინისტრომ წერილობითი ფორმით არ გაიზიარა შპს „მ.ს.მ“-ს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ფორს-მაჟორულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და მოითხოვა ხელშეკრულების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა. მოვალემ ვალდებულება 1 ნოემბრის ნაცვლად, შეასრულა 18 ნოემბერს.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შედეგად, მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ იგი არ იზიარებს საქალაქო სასამართლოს დასკვნებს. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „მ.ს.მ“ს მიერ ვალდებულება არ შესრულდა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას. სააპელაციო სამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიაცია, რომლის მიხედვითაც, ის უთითებდა, რომ ვალდებულება შეთანხმებულ დროს ვერ შესრულდა ფორს-მაჟორის გამო. სსკ-ის 401-ე მუხლის მიხედვით ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. სააპელაცო სამართლომ მიიჩნია, რომ ფორს-მაფორული გარემოება არ არსებობდა იმ დღეს, როცა მოვალეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უნდა შეესრულებინა, რადგაგან ფოთის მეტეროლოგიური

სადგურის მონაცემებით 2013 წლის 28 ოქტომბერს იქნებოდა ძლიერი შტორმი, ტალღის სიმაღლე 13-19 დმ (4 ბალი) ხოლო ქარის მაქსიმალური სიჩქარე 18მ/მწ, რომელიც განეკუთვენება ძლიერი შტორმული ქარის კატეგორიას. შპს „მ.ს.მ "-ს კი ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2013 1 ნოემბერს. სსკ 400-ე მუსლის „ა" ქვეპუნქტით მოვალე ვალდებულების შესრულების ვადაგადამცილებად ითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ ვადაში ვალდებულება არ შესრულდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვალემ ვალდებულება არ შეასრულა დადგენილი ვადაში, რაც არ იყო გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებით და შესაბამისად დააკისრა მხარეთა შორის შეთახმებული პირგასამტეხლოს გადახდა გადაგადაცილებული დღეებისათვის. თუმცა, სასამართლომ შეუსაბამოდ მიიჩნია, იმ პირგასამტეხლოს ოდენობა, რასაც ითხოვდა მოსარჩელე. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად -პურგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მტკიცებულებათა ერთობლივი შეფასების შედეგად დაადგინა, თუ რამდენ დღიანი ვადის გადაცილება შეიძლებოდა შპს „მ.ს.მ."-ს ბრალად შერაცხვოდა და შესაბამისად, პირგასამტეხლო სწორედ მისი ბრალით გამოწვეული ვადადარღვეული დღეების რაოდენობის გათვალისწინებით დაიანგარიშა, რამაც საერთო ჯამში, 51 527,9 ლარი შეადგინა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას იძლევა. პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს. თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი" პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება

პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. პირგასამტეხლოს „აშკარა შეუსაბამობის" თაობაზე მტკიცებულებებს წარადგენს პირი, რომელიც მის შემცირებას ითხოვს. პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება, შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. პირგასამტეხლოს დაკისრებით უნდა მოხდეს კრედიტორის დანაკარგების კომპენსირება და არა მისი გამდიდრება. აქედან გამომდინარე სასამართლომ უნდა შეაფასოს პირგასამტეხლოსა და მოვალის მიერ დაშვებული დარღვევით გამოწვეული შედეგების თანაფარდობა. აპელანტი ითხოვდა მოვალისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას 17 დღისათვის, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული და მოვალეს პირგასამტეხლოს გადახდა დააკისრა ,მხოლოდ იმ დღეებისათვის,როდესაც მას შეეძლო შესრულებინა ვალდებულება და გამოაკლო ის, დღეები, როდესაც ფოთის პორტში შეფერხებული იყო გემების მიმოსვლა უამინდობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალდებულების შესრულების ვადას, მოვალემ გადააცილა 7 დღიით და პირგასამტეხლოს გადახდა დააკისრა აღნიშნული დღეების მიხედვით.

იხილეთ სასამართლო გადაწყვეტილება ლინკზე:

http://library.court.ge/judgements/44332016-03-16.pdf

დასკვნა

ვალდებულებითი სამართლის ფუძემდებლურ მნიშვნელობაზე მეტყველებს სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი. ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტს წარმოადგნეს. თუმცა, შეიძლება წარმოიშვას ისეთი ხელისშემშლელი გარემოებები, რომლებმაც შეიძლება შეუძლებელი გახადონ ვალდებულების შესრულება. იურისპრუდენციაში ჯერ კიდევ არ არის საკმარისად გამოკვლეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საკითხი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა დაუძლეველი ძალის განმარტებას ისევე, როგორც ეს ევროპის რიგი ქვეყნების კოდექსებშია. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საკითხი, სსკ-ში, როგორც ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებული საფუძველი არ არის განხილული და იგი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების მუხლშია წარმოდგენილი. მაგალითად სსკ-ის 401-ე მუხლის თანხმად ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, ვალდებულების შესრულების ვადის გადიცილების ჭრილშია განხილული. ასევე აღნიშნული ნორმით, მხოლოდ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ერთ-ერთი სახე - არაბრალეული შესრულების შეუძლებლობა მოწესრიგებული მაშინ, როდესაც არსებობს ბრალით განპირობებული შესრულების შეუძლებლობის სახეებიც.

ასევე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მოვალის პასუხისმგებლობის დადგენა, ამიტომ, მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენის თვალსაზრისით, საჭიროა შესრულების შეუძლებლობის სახეების დაწვრილებით საკანომდებლო დონეზე მოწესრიგება. მართალია შესრულების საწყის შეუძლებლობას ეხება სსკ-ის 91-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნობს ანდა ზნეობის ნორმებს; გარიგება რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული, მთლიანად ბათილია. თუმცა შესრულების შეუძლებლობის ხანგრძლივი და დროებითი, ფარდობითი და აბსოლუტური, ობიექტური და სუბიექტური შესრულების შეუძლებლობის საკითხები არ არის საკანომდებლო დონეზე მოწესრიგებული. გსკ-ის 275-ე I პარაგრაფი კი აერთიანებს და ათანაბრებს სუბიექტურ და ობიექტურ შეუძლებლობას, რომელთა არსებობისას ითვალისწინებს მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. სუბიექტური შეუძლებლობა

გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი შესრულების შეუძლებლობას მხოლოდ კონკრეტული მოვალისათვის. ობიექტური შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება ფიზიკურად განუხორციელებელია არა მხოლოდ ხელშეკრულების კონკრეტული მხარისათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის.

გსკ-ის 275-ე I პარაგრაფის მოქმედება (შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება) ვრცელდება ობიექტური და სუბიექტური, საწისი და შემდგომი, ნაწილობრივი და სრული შესრულების შეუძლებლობის სახეებზე. აღნუშნული ნორმით განმტკიცებული შესრულების შეუძლებლობის სახეები წარმოშობს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.

ამრიგად, აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საკითხი, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი საფუძველი ცალკე კონცეფციის სახით ჩამოყალიბდეს და არ იქნეს განხულული, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებასთან ერთიანობაში. ასევე გსკ-ის მსგავსად, უნდა მოხდეს შესრულების შეუძლებლობის ყველა სახის დაწვრილებით საკანომდებლო დონეზე მოწესრიგება, რაც ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებას და პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „იურისტის ბიბლიოთეკა“, თბილისი 2015წ.

2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი 2010 წ.

3. ძლიერიშვილი ზ. ვალდებულების შესრულება, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი 2006წ. 12 გვ.

4. ჭანტურია ლ. ზოიძე ბ. ნინიძე თ. შენგელია რ. ხეცურიანი ჯ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001 წ.

5. იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილის 2014წ.

6. თოდუა მ., ჰუუბ ვ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2006წ.

7. ალექსანდრე იოსელიანი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2007 წ.

8. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009წ.

9. ჩიტაშვილი ნ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ფორს-მაჟორისა და შესრულების გართულების ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები, სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2014 წელი.

10. ქოჩიაშვილი ქ., ბრალი როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა) სამართლის ჟურნალი, თბილისი 2009., №1.

11. შაკიაშვილი ბ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, სადისერტაციო ნაშრომი „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი 1998წ.

12. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2009წ.

13. შაკიაშვილი.ბ, ხელშეკრულების „ამაოების“ თეორია ინგლისისა და აშშ-ის სამართალში, ჟურნალი „სამართალი“, № 9-10 ,1997 წ.

14. ჭანტურია ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში: ს. ჯორბენაძის საიუბილეო კრებული, თბილისი 1994.

15. ჭანტურია.ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2011წ.

16. ჩიტაიშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, ჟურნალი „სამართალი“., თბილისი 2009 წელი.

17. ჯუღელი.თ., მორალური ვალდებულების ადგილი სამოქალქო სამართალში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005წ.

18. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა, ჟურნალი ქართული სამართლის მომიხილვა, 1998 წ, I კვარტალი.

19. ცვაიგერი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II. თბილისი 2001წ.

20. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხუცერიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, IV წიგნი ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი 2001წ.

21. შაკიაშვილი ბ., ფორს-მაჟორული დათქმები კომერციულ პრაქტიკაში, ჟურნალი „ეკონომიკა“, №9-10, 1997 წ

22. მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოს და გერმანიის კანომდებლობათა ანალიზი). სპეც გამოცემა., თბილისი 2004წ.

23. გიორგი ჯოლია - „სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები, ჟურანლია „სამართლებრივი განვითარება“, №5, 2017წ.

24. საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება - № 2ბ/7137-14

უცხოური ლიტერატურა.

1. French Civil Code,Translated by DavId W. GrunIng, Professor of law, Loyola University, School of law, New Orleans, 2006.

2. Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York,2012.

3. Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International BV, the Netherlands, 2009.

4. G.Ripert,La regle morale dans les obligatios civiles,Paris 1955.

5. Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2ndHart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006.

6. Reynaud.M.,Droit civil,II Les obligations,Paris 1962.

7. Fried C., Contract as Promise: A theory of Contructual obligations, Harvard university press Cambridge 1981.

8. Ш.И. буднан, Е.А. Павлодский, Невазможность исполнения обязательств в современом договорном праве –Проблемы современного гражданского праваб М 2000.

9. Я.А. Канторович, Основные идеи граждаского права,Харьков 1928.

10.М.Я Пергамент., Воина и непреодолимая сила, Спб 1914.

11.А.С. Комаров, Отвественность в комерческом обороте, М., 1999.

12.Новицкий И.Б., Лунц Л.А. Общее учение об обязательстве, М 1950.